ჟან-პოლ სარტრი

თეატრი

ბუზები

•

სხარელიტული

•

ეშმაკი და უფალი ღმერთი

JEAN-PAUL SARTRE

LES MOUCHES

◆

HUIS CLOS

◆

LE DIABLE ET LE BON DIEU

nrf

GALLIMARD

ჟან-პოლ სარტრი

ბუზები

◆

ცხრაკლიტული

◆

ეშმაკი და უფალი ღმერთი

GEO

"ჯიხური"

ცხრაკლიტული

ერთმოქმედებიანი პიესა

ვუძღვნი ამ ქალბატონს...

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა

სცენა პირველი

გარსენი, სართულის მორიგე ბიჭი.

მეორე იმპერიის სტილში გაწყობილი ოთახი, ბუხარზე ბრინჯაოს ქანდაკება.

გარსენი – (*შემოდის, მიმოიხედავს*) ესეც ასე...

ბიჭი – დიახ, მოვედით.

გარსენი – მაშ, ეს არის?

ბიჭი – ეს გახლავთ.

გარსენი – მე მგონი, დრო გავა და ავეჯსაც შევეჩვევი.

ბიჭი – ეს უკვე თქვენზეა დამოკიდებული.

გარსენი – ყველა ოთახი ერთნაირია?

ბიჭი – რას ბრძანებთ? ჩვენთან ჩინელებიც და ინდოელებიც მოდიან. აბა, იმათ რაში ადგიათ მეორე იმპერიის სტილის საგარძელი?

გარსენი – მე რაღა თავში ვიხლი? იცით თუ არა, ვინ ვიყავი? თუმცა, ამას რაღა აზრი აქვს? მთელი სიცოცხლე ულაზათო ავეჯსა და ყალბ სიტუაციებში გავატარე. ასე მსურდა და იმიტომ. ყალბი სიტუაცია და ლუი-ფილიპის სტილის სასადილო ოთახი... კარგი რამაა, არა?

ბიჭი – აი, ნახავთ, მეორე იმპერიის სტილში გაწყობილი დარბაზიც არ არის ურიგო.

გარსენი – (*მიმოიხედავს*) რა თქმა უნდა... მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, ამას მაინც არ ველოდი... გეცოდინებათ, რაებს არ ყვებიან იქ, ქვემოთ...

ბიჭი – რის შესახებ?

გარსენი – (*ტელით ანიშნებს ირგვლივ*) აი, ყოველივე ამის შესახებ.

ბიჭი – ჭორებს აყვევით? იმათ ხომ ფეხიც არ შემოუდგამთ აქ?! ერთხელ მაინც რომ ენახათ...

გარსენი – დიახ, დიახ, სწორი ბრძანებაა. (*ორივე იცინის; გარსენი ისევ სერიოზულ სახეს ილებს*) ორთითები სადღაა?

ბიჭი – რაო?

გარსენი – ჰო, ჰო, ორთითები, რკინის ღუმელები, კუპრის ქვაბები?

ბიჭი – თქვენ რა, დამცინით?

გარსენი – აჰა, გასაგებია. არა, დაცინვა არც მიფიქრია. (*გაჩუმდება. გაიცქ-გამოიცქირის*) რა თქმა უნდა, არც სარკეებია და არც ფანჯრები. არაფერი ისეთი, რაც ტყდება. ერთი ეს მიბრძანეთ, კბილის ჯაგრისი რატომღა წამართვეს?

ბიჭი – აი, ხედავთ? ადამიანური ღირსების გრძნობა გიბრუნდებათ. დიდებულია.

გარსენი – (*გამეტებით ურტყამს ხელს საკარძლის სახელურს*) გთხოვთ, თავს ნუ გამიყადრებთ. კარგად ვიცი, რა დღეშიც ვარ, მაგრამ, ვერ აეიტან, რომ თქვენ...

ბიჭი – ოჰო, მაპატიეთ. თუმცა, ჩემი რა ბრალია? თვითონვე განსაჯეთ. ყველა კლიენტი ერთნაირია. მოვლენ თუ არა, „ორთითები სადა�ა?" – პირველად ამას იკითხავენ. იმ წუთს, მერნმუნეთ, სიკოხტავეზე არავინ ფიქრობს. მერე, როცა დამმვიდდებიან, კბილის ჯაგრისს გაიხსენებენ. კი მაგრამ, ღმერთო ჩემო, არ შეგიძლიათ ერთი წუთით მაინც დაფიქრდეთ. ერთი ეს მიბრძანეთ, რატომ იხეხავთ კბილებს?

გარსენი – (*დამშვიდდა*) მართლაც და რატომ? (*ოთახს ათვალიერებს*) ან კი სარკეში რატომ ვიცქირებით? აჰა, ბრინჯაოს ნათურა. წარმომიდგენია, რა გაშტერებით მიეაჩერდები. დიახ, დიახ, დასამალი არაფერია. გარწმუნებთ, კარგად მესმის ჩემი მდგომარეობა. გითხრათ, როგორ მოხდება ყოველივე?.. მისმინეთ, სული გეხუთება, ჭაობში სულ უფრო მეტად ეფლობი, მხოლოდ თვალები გაქვს წყლის ზედაპირზე და იცით, რას ხედავ? ბარბელიენის ბრინჯაოს ქანდაკებას.ამაზრზენი სანახაობაა! ვიცი, თქვენგან პასუხს ვერ ველირსები. ძალას არ გატანთ. მაგრამ, ისიც გახსოვდეთ, რომ ყოველივე ეს ერთბაშად არ მომხდარა. ნურც იმას დაიკვეხნით, რომ მოულოდნელად გამომიჭირეთ. ვიცი, რაც მომელის. (*ბოლთას სცემს*) ესე იგი ჯაგრისს დამიბრუნებთ. სანოლიც არ გქონიათ. ეტყობა, აქ ძილიც არ შეიძლება?

ბიჭი – ეშმაკმა დალახვროს!

გარსენი – შემიძლია სანაძლეოც დავდო! აბა, ძილი რა საჭიროა? იგი მალულად, ფეხაკრეფით გეპარება. გრძნობ, რომ თვალები გეხუჭება, ტახტზე გაიშხლართები და ერიჰაა! ძილიც ქრება. თვალებს მოიფშვნეტ – ფეხზე წამოდგები და ყველაფერი თავიდან იწყება.

ბიჭი – რომანტიკოსი ბრძანდებით!

გარსენი – გაჩუმდით! მე არც ვიყვირებ, არც ვინუნუნებ. მხოლოდ ერთს ვცდილობ – ნათლად გავიზიარო ჩემი მდგომარეობა. არ მინდა, რომ იგი მოულოდნელად, ზურგიდან მომიხტეს. რომანტიკულია, ამბობთ. საქმე ის არის, რომ აქ ძილის სურვილიც გეკარგება. ძილი გინდ ყოფილა და გინდ არა. შესანიშნავია... მოითმინეთ, მოითმინეთ. კი მაგრამ, რა არის ამაში აუტანელი და ესოდენ მტანჯველი? აჰა, მივხედი: ეს არის სიცოცხლე შესვენების გარეშე.

ბიჭი – რა შესვენებაზე ლაპარაკობთ?

გარსენი – რა შესვენებაზე? ერთი შემომხედეთ. ასეც ვიცოდი! აი, თურმე რით აიხსნება თქვენი მძიმე და უხეში მზერა? ღმერთო ჩემო. თქვენ ისინი ატროფირებული გაქვთ?

ბიჭი – რაო?

გარსენი – წამწამებზე გელაპარაკებით, ჩვენ, ადამიანები, წამწამებს ვახამხამებთ. ამას თვალის მოხუჭვა ჰქვია. იცით, შავ ელვას წააგავს. ერთი წამით ფარდა ეშვება და მერე ისევ ზევით იწევს. აი, შესვენებაც ეს არის. თვალი დაიხუჭა, სამყარო გაქრა. ვერ წარმოიდგენთ, რა შვებაა. ოთხი ათასი შესვენება ყოველ საათში. ოთხი ათასი ხანმოკლე გაქცევა სამყაროდან. ახლა კი რა? წამწამების გარეშე უნდა ვიცხოვრო? რა სისულელეა. წამწამები და ძილი ერთი და იგივეა. გამოდის, ძილი არ მეღირსება? მაგრამ საკუთარი თავი როგორ ავიტანო? ეცადეთ, გამიგოთ! ძალა დაატანეთ თავს! ადამიანის წვალება მიყვარს და, გარდა ამისა, ერთი ჩვევაც მაქვს. თავს ვილიზიანებ. მაგრამ ხომ არ შემიძლია განუწყვეტლივ გავიტანჯო თავი. იქ, ქვემოთ ღამეებია. მე მეძინა. მშვიდი ძილი მქონდა. ეს ძილი მთელი დღის ანაზღაურება იყო. მარტივ სიზმრებს ვხედავდი. რალაც ველი იყო, დიახ, ველი და მეტი არაფერი. თითქოს ამ ველზე მივდიოდი... ახლა დღეა?

ბიჭი – ხომ ხედავთ, ნათურები ანთია.

გარსენი – ეშმაკმა დალახვროს, ეს თქვენებური დღეა. გარეთ რაღაა?

ბიჭი – (*შეცბუნებულია*) გარეთ?

გარსენი – დიახ, გარეთ, ამ კედლებს იქით?

ბიჭი – დერეფანი.

გარსენი – დერეფნის ბოლოს?

ბიჭი – სხვა ოთახები, სხვა დერეფნები და კიდევ კიბეები.

გარსენი – მეტი არაფერი?

ბიჭი – ეს არის და ეს.

გარსენი – უკმე დღეს სად ატარებთ?

ბიჭი – ბიძაჩემთან, მესამე სართულზე. მსახურთუხუცესი გახ-

ლავთ.

გარსენი – ასეც ვიცოდი. სინათლის გამომრთველი სადღაა?

ბიჭი – გამომრთველები არა გვაქვს.

გარსენი – მაშ, სინათლეც ვერ ჩამიქრია და ეგაა.

ბიჭი – სინათლის გამორთვა მხოლოდ დირექციას შეუძლია. მაგრამ რაღაც არ მაგონდება, რომ ამ სართულზე სინათლე გამოერთოთ. ელექტროენერგიას არ ვზოგავთ.

გარსენი – ძალიან კარგი. გამოდის, ღია თვალებით უნდა ვიცხოვრო...

ბიჭი – (*ირონიულად*) ჰმ, სიცოცხლე...

გარსენი – სიტყვებზე ნუ შემომედავებით... მუდამჟამს ღია თვალები... ჩემს თვალებში დღე იქნება... ჩემს ტვინშიც... ეს ბრინჯაოს ნათურა რომ გავანძრიო, არც მაშინ ჩაქრება?

ბიჭი – ნათურა ძალიან მძიმეა.

გარსენი – (*ნათურის აწევას ცდილობს*) სწორი ბრძანდებით. მძიმე ყოფილა.

ბიჭი – მაშ ასე, თუ აღარ გჭირდებით, წავალ.

გარსენი – (*შეკრთება*) მიდიხარ? ნახვამდის. (*ბიჭი კართან მიდის*) მოითმინეთ. (*ბიჭი შემობრუნდება*) ეს ზარის ღილაკია? (*ბიჭი თავს უკნევს*) ესე იგი, საკმარისია დავრეკო და თქვენც ვალდებული ხართ გამოცხადდეთ, არა?

ბიჭი – მართალი თუ გნებავთ, ასეც უნდა იყოს! მაგრამ ჭირვეული ზარია, ხშირად იჭედება.

გარსენი ზართან მიდის და ღილაკს თითს აჭერს. ისმის ზარის ხმა.

გარსენი – აკი მუშაობს?!

ბიჭი – (*გაოცებულია*) დახე. (*თვითონაც რეკავს*). მაინც ნუ დაენდობით. შეიძლება წუთში მოიშალოს. აბა, კარგად მეყოლეთ.

გარსენი – (*ხელს გაიწვდენს, თითქოს მისი შეწერება სურს*) მე...

ბიჭი – გისმენთ.

გარსენი – არა, არაფერი. (*ბუხართან მიდის და ფურცლების საჭრელ დანას იღებს*) ეს რაღაა?

ბიჭი – ვერ ხედავთ? ფურცლების საჭრელი დანაა.

გარსენი – წიგნებიც გაქვთ?

ბიჭი – არა.

გარსენი – მაშ ეს დანა რიღას მაქნისია? (*ბიჭი მხრებს იჩეჩავს*) კარგი, წადით.

ბიჭი გადის.

სცენა მეორე

გარსენი, მარტო

გარსენი ბრინჯაოს ნათურასთან მიდის და ხელით ეხება. ჯდება, მერე დგება, ზართან მიდის და ღილაკს აჭერს ხელს. ზარი არ ირეკება. ორჯერ თუ სამჯერ ამაოდ სცდის. კარებთან მიდის და გაღებას ცდილობს. არ იღება. გარსენი ყვირის.

გარსენი – ეი, ბიჭო!

პასუხი არ ისმის – გარსენი კარებს მუშტებს უშენს და ბიჭს ეძახის. შემდეგ ერთბაშად მშვიდდება და ჯდება. ამ დროს კარი იღება. შემოდის ინესი ბიჭის თანხლებით.

სცენა მესამე

გარსენი, ინესი, ბიჭი.

ბიჭი – (*გარსენს*) მეძახდით?

გარსენი პასუხს აპირებს, მაგრამ უცებ ინესს გადახედავს.

გარსენი – არა.

ბიჭი – (*ინესისკენ მიბრუნდება*) აი, ესეც თქვენი ოთახი, ქალბატონო. (*ინესი ჩუმადაა*) შეკითხვები თუ გაქვთ... (*ინესი სდუმს*).

ბიჭი – (*იმედგაცრუებულია*) ჩვეულებრივ, კლიენტები ცნობისმოყვარენი არიან... არა, ძალას კი არ გატანთ... თუმცა, კბილის ჯაგრისის, ზარისა და ბრინჯაოს ნათურის ამბავი ამ ბატონმაც კარგად იცის.

ბიჭი გადის. სიჩუმე. გარსენი თვალს არიდებს ინესს. ინესი მიმოიხედავს, შემდეგ, უცებ, გარსენთან მიდის.

ინესი – ფლორანსი სად არის? (*გარსენი დუმს*) ფლორანსს რა უყავით მეთქი.

გარსენი – არაფერი ვიცი.

ინესი – ამაზე კარგი ვერაფერი მოისაზრეთ? განშორებით ტანჯვა მომისაჯეთ, არა? ვერ მოგართვეს. ფლორანსი ერთი პატარა ქარაფშუტა ქალია და მისი ბედი სულაც არ მაღელვებს.

გარსენი – ერთი ეს მიბრძანეთ. ვინ გგონივართ?

ინესი – ვინ და ჯალათი.

გარსენი – (*შეკრთება, მერე სიცილი აუტყდება*) სასაცილოა, ღმერთმანი. მართლა ჯალათი გეგონეთ? შემოხვედით, შემომხედეთ და გაიფიქრეთ: აი, ესეც ჯალათი. უცნაურია... ეს ბიჭიც კარგი ვინმეა, ერთმანეთს მაინც გავცნობოდით. ჰმ, ჯალათი! ეზოზეფ გარსენი გახლავართ, პუბლიცისტი და მწერალი. ერთი რამ ცხადია: ორივენი ამ ოთახში შემოგეყარეს, ქალბატონო.

ინესი – (*მკვახედ*) ინეს სერანო... ქალიშვილი.

გარსენი – ძალიან კარგი. მაშ ასე, ყინული გალღვა. ესე იგი ჯალათს მიმამსგავსესთ არა? ერთი ეს მიბრძანეთ, თუ ღმერთი გნამთ, ჯალათი როგორ უნდა გამოიცნო?

ინესი – ჯალათებს შიშნაჭამი იერი აქვთ.

გარსენი – შიშნაჭამი? საინტერესოა. კი მაგრამ რისი ეშინიათ? მსხვერპლისა ხომ არა?

ინესი – მორჩით! საკუთარი გამოცდილებით ვიცი, სარკეში მინახავს ჩემი სახე.

გარსენი – სარკეში? (*მიმოიხედავს*) სამწუხაროდ, სარკის მსგავსი აქ არაფერია (*გაჩუმდება*). ყოველ შემთხვევაში, გარწმუნებთ, რომ არაფრის მეშინია. ჩემს მდგომარეობას ზერელედ არ ვუყურებ და მისი მთელი სირთულეც შეგნებული მაქვს. შიშით კი, არაფრის მეშინია.

ინესი – (*მხრებს იჩეჩავს*) თქვენი საქმისა თქვენ იცით (*ჩუმდება*). გარეთ თუ გადიხართ?

გარსენი – კარები ჩარაზულია.

ინესი – მით უარესი.

გარსენი – კარგად მესმის, რომ თავს გაბეზრებთ. ჩემთვის რომ ეკითხათ, მეც სიმარტოვეს ვარჩევდი. მსურს, ჩემს ცხოვრებას გარკვეული წესი მოვუნახო. ამისთვის კი ფიქრია საჭირო. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს კარგად შეეწყობით. ხმას არ ამოვიღებ და არც გავინძრევი. თუ ნებას მომცემთ, გირჩევთ, ერთმანეთს თავაზიანად მოვეპყრათ. გარწმუნებთ, თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა.

ინესი – დიდ ზრდილობას ვერ დავიკვეხნი.

გარსენი – რა გაწყობა? ორმაგად ზრდილობიანი ვიქნები.

სიჩუმე. გარსენი ტახტზე ზის. ინესი ბოლთას სცემს.

ინესი – (*გარსენს უყურებს*) პირი!..

გარსენი გამოერკვევა.

პირს ვერ გააჩერებთ? რას ათამაშებთ ტუჩებს?!

გარსენი – მომიტევეთ. ყურადღება არ მიმიქცევია.

ინესი – მეც ამას ვამბობ! (*გარსენი პირს შეატოკებს*) აი, ისევ. ზრდილობიანი ვარო, ამტკიცებთ და საკუთარი პირისთვის ვერ მოგივლიათ. მარტო არ ბრძანდებით და არც იმის უფლება გაქვთ, რომ თქვენი შიში გადმომდოთ.

გარსენი – (*დგება და ქალისკენ მიდის*) თქვენ არ გეშინიათ?

ინესი – შიში რას უშველის. შიშს მაშინ ედო ფასი, როცა ჯერ კიდევ რაღაცის იმედი გვქონდა.

გარსენი – (*წყნარად*) იმედი ხელიდან გამოგვეცალა, მაგრამ იმ დროს ჯერაც არ დაეშორებულვართ. ტანჯვა ჯერ არ დაწყებულა, მადმუაზელ!

ინესი – ვიცი (*ჩუმდება*). მერე და რა? რა უნდა მოხდეს?

გარსენი – არ ვიცი. აი, ველოდები.

სიჩუმე. გარსენი ჯდება. ინესი ბოლთას სცემს, გარსენი ნერვიულად ამოძრაველს პირს, მერე ინესის მზერას წაწყდება და სახეს ხელებში ჩარგავს. შემოდიან ესტელი და მოახლე ბიჭი.

მეოთხე სცენა

ინესი, გარსენი, ესტელი, ბიჭი.

ესტელი შესაქერის ხელებში თავჩარგულ გარსენს.

ესტელი – (*გარსენს*) არა, არა, თავი არ ასწიო! ვიცი, რასაც მალავ ხელებში. ისიც ვიცი, რომ სახე აღარა გაქვს. (*გარსენი ახედავს*) აჰ! (*სიჩუმე. გოცებული*) მე თქვენ არ გიცნობთ.

გარსენი – ჯალათი არ გახლავართ, ქალბატონო.

ესტელი – ეს არც მიფიქრია... მეგონა, ჩემი გათამაშება გსურდათ, (*ბიჭს*) ვის ელოდებით?

ბიჭი – აღარავინ მოვა.

ესტელი – (*დამშვიდებული*) აჰა! ესე იგი, სულ სამნი ვიქნებით? ეს ბატონი, ქალბატონი და მე.

იცინის.

გარსენი – (*მკვახედ*) სასაცილო არაფერია.

ესტელი – (*სიცილს არ წყვეტს*) რა შეუხედავი ტახტებია. მერე და როგორ დაულაგებიათ! ასე მგონია, ახალი ნელია და დეიდა ანასთან ვარ სტუმრად. ვფიქრობ, ჩვენ-ჩვენი ადგილი გვაქვს მიჩნეული. ეს ტახტი ჩემია, არა? (*ბიჭს*) კი მაგრამ, აქ როგორ დავჯდე? ღია ლურჯი ფერის კაბა მაცვია, ტახტი კი სალათის-

ფერია.

ინესი – ჩემს ადგილს დაგითმობთ.

ესტელი – ამ ბორდოსფერ ტახტს? მადლობელი ვარ, მაგრამ არც ეს გამოდგება. თუმცა, რა სალაპარაკოა? ყველას ჩვენ-ჩვენი წილი გვერგო: თუ მწვანე შემხვდა, დაე, აგრე იყოს! (*შეყოვნდება*) ისე კი, ამ ბატონის ტახტი უფრო მომიხდებოდა.

სიჩუმე.

ინესი – გესმით, გარსენ?

გარსენი – (*შეკრთება*) ტახტი? ო, მაპატიეთ! (*დგება*) ინებეთ, ქალბატონო.

ესტელი – გმადლობთ. (*პალტოს იხდის და ტახტზე მოისვრის. ცოტა ხნის შემდეგ*). თუკი ერთად შევიყარეთ, გავიცნოთ კიდეც ერთმანეთი: ესტელ რიგო.

გარსენი თავს ხრის და ის არის უნდა წარუდგეს, რომ ინესი აეფარება წინ.

ინესი – ინეს სერანო. მოხარული ვარ.

გარსენი ხელმეორედ დაუკრავს თავს ესტელს.

გარსენი – ჟოზეფ გარსენი.

ბიჭი – აღარ გჭირდებით?

ესტელი – არა, შეგიძლიათ წახვიდეთ. თუ დამჭირდით, გამოგიძახებთ.

ბიჭი თავს ხრის და გადის.

სცენა მეხუთე

ინესი, გარსენი, ესტელი.

ინესი – რა ლამაზი ხართ! ყვავილები რომ მქონდეს, მოგართმევდით და ასე შეგეგებებოდით.

ესტელი – ყვავილები ძალიან მიყვარს, მაგრამ აქ ხომ ვერ გაძლებენ! პაპანაქება სიცხეა. ჰო! მთავარია, მხიარული განწყობილება შევინარჩუნოთ. განა ასე არ არის? თქვენ...

ინესი – დიახ, გასულ კვირას. თქვენ როდის?

ესტელი – გუშინ. ცერემონიალი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. (*ბუნებრივი ტონით ლაპარაკობს, თითქოს თვალნათლივ ხედავს იმას, რასაც აღწერს*) ჩემი დის პირბადეს ქარი აფრიალებს, რას არ აკეთებს, რომ აცრემლდეს. ჰო, ერთიც სცადე. აი, შავ ქსოვილს მიღმა ნყვილმა კურცხალმა გამოჟონა. ოლლა ჟარდე დღეს მეტისმეტად შეუხედავია. ჩემს დას აკავებს. თვალებზე სა-

ლებავი აქვს წასმული და ცრემლებს ერიდება. არადა, ჩემი გულითადი მეგობარი გახლდათ... მის ადგილზე რომ ვიყო...

ინესი – ბევრი ინვალეთ?

ესტელი – არა... იცით, დარეტიანებული უფრო ვიყავი.

ინესი – კი მაგრამ...

ესტელი – ფილტვების ანთება. (*აგრძელებს უწინდებურად*) აპა, ასეც არის, იშლებიან. ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ! ერთმანეთს ხელს ართმევენ. ჩემი ქმარი სვედისგან ლოგინად ჩავარდა. ახლაც სახლშია. (*ინესს მიუბრუნდება*) თქვენ რა შეგემთხვათ?

ინესი – გაზით მოვინამლე.

ესტელი – თქვენ, ჩემო ბატონო?

გარსენი – თორმეტი ტყვია ჩამაჭედეს. (*ესტელს*) უკაცრავად, მაგრამ ჩემი სიკვდილით ესოდენ პატივსაცემ საკრებულოს ვერ დავამშვენებ.

ესტელი – ო, მონყალეო ბატონო, ასეთ უხეშ სიტყვებს ნუ იხმართ. გულზე ლახვარივით მეცემა... ბოლოს და ბოლოს რა ბედენაა? შეიძლება, არც არასოდეს ვყოფილვართ ეგზომ ცოცხლები! თუკი ჩვენს ახლანდელ მდგომარეობას მაინც და მაინც რაიმე სახელი უნდა მოვუნახოთ. ვირჩევდი იქ-არ-მყოფნი გვეწოდებინა თავისთვის. ასე უფრო ზუსტია. – დიდი ხანია, რაც იქ აღარ ხართ?

გარსენი – ერთი თვე იქნება.

ესტელი – საიდან ბრძანდებით?

გარსენი – რიოდან გახლავართ.

ესტელი – მე პარიზელი ვარ. იქ დაგრჩათ ვინმე?

გარსენი – ცოლი (*ისევე, როგორც ადრე ესტელი*). ჩვეულებისამებრ დღესაც მოვიდა ყაზარმაში. არ უშვებენ. რკინის ღობიდან იცქირება. ჯერ არ იცის, რომ იქ აღარ ვარ. რაღაცას კი ვრძნობს. აი, უკან გაბრუნდა. შავები აცვია. მით უკეთესი, ტანსაცმლის გამოცვლა არ დასჭირდება. არ ტირის. არც არასოდეს უტირია. თაკარა მზეა... ქუჩაში შაე ლაქასავით მოჩანს... სამსხვერპლო ზვარაკივით ფართოდ დაუღია თვალები... ოჰ! რარიგ მაღიზიანებს.

სიჩუმე. გარსენი შუა ტახტზე ჯდება და სახეს ხელებში ჩარგავს.

ინესი – ესტელ!

ესტელი – ბატონო გარსენ!

გარსენი – გისმენთ?!

ესტელი – თქვენ ჩემს ადგილზე ზიხართ.

გარსენი – მაპატიეთ. (*დგება*).

ესტელი – რამ ჩაგაფიქრათ?

გარსენი – საკუთარ ცხოვრებას ვაწესრიგებ (*ინესი იცინის*). უმჯობესია სიცილს თავი ანებოთ და მომშაძოთ.

ინესი – ჩემი ცხოვრება მოწესრიგებულია... თავიდან ბოლომდე მოწესრიგებული. იცით, თავისთავად მოწესრიგდა იქ, ქვემოთ. ამიტომ ამაზე აღარც ვწუხვარ!

გარსენი – დარწმუნებული ხართ? თქვენ გგონიათ ეს ასე ადვილია? (*შუბლზე ისვამს ხელს*) რა სიცხეა! ნებას მომცემთ?

პიჯაკის გახდას აპირებს.

ესტელი – ო, არა! (*უფრო რბილად*) ნუ იზამთ. პერანგისამარა მამაკაცებს ვერ ვიტან.

გარსენი – (*პიჯაკს იცვამს*) კეთილი, (*მცირე ხნის შემდეგ*) მთელ ღამეებს რედაქციაში ვატარებდი. იქ მუდამ ჯოჯოხეთური სიცხე იდგა. (*ცოტა ხნის შემდეგ, იმგვარად, როგორც ადრე*) ახლაც საშინლად ცხელა... ღამეა...

ესტელი – ოჰო, დალამებულა. ოლღა ტანთ იხდის. რა სწრაფად გადის დრო დედამიწაზე.

ინესი – ღამეა. ჩემი ოთახის კარები დალუქეს. ოთახში სიცარიელე და სიბნელეა.

გარსენი – პიჯაკები სკამის ზურგზე დაუკიდიათ... პერანგის მკლავები აუკაპიწებიათ... მამაკაცისა და სიგარის სუნია. (*ჩუმდება*) პერანგისამარა მამაკაცების გვერდით ცხოვრება მიყვარდა.

ესტელი – (*მკვახედ*) გამოდის, ერთმანეთს ვერ ვეგუებით. (*ინესისკენ*) თქვენ რაღას იტყვით, გიყვართ პერანგისამარა მამაკაცები?

ინესი – მამაკაცები საერთოდ არ მეხატებიან გულზე. გინდ პერანგით და გინდ უპერანგოდ.

ესტელი – (*გაკვირვებით შესცქერის ორთავეს*) კი მაგრამ, რატომ შეგვყარეს ერთად? რატომ?

ინესი – (*სიცილს იკავებს*) რაო, რა ბრძანეთ?

ესტელი – აი, გიყურებთ და მიკვირს, რომ ერთად უნდა ვიყოთ. მეგონა, მეგობრები ან ჩემი ოჯახის წევრები დამხვდებოდნენ.

ინესი – ან კიდევ შუბლგახვრეტილი გულის სწორი, არა?

ესტელი – რატომაც არა! ტანგოს პროფესიონალი მოცეკვავესავით ცეკვავდა. მაგრამ ჩვენ რატომღა შეგვყარეს ერთად?

გარსენი – უბრალო დამთხვევაა. კლიენტებს ალალბედზე უჩენენ ადგილს. აი, რიგს კი იცავენ. (*ინესს*) რა გაცინებთ?

ინესი – არა. ასე რომ ყოფილიყო, არ დაგივინყებდით.

ინესი – შემთხვევითობაა – რომ ამბობთ, იმაზე მეცინება. ნუთუ ასე გჭირდებათ თავის მოტყუება? აქ შემთხვევითი არაფერია.

ესტელი – (*მორიდებით*) შეიძლება ადრეც შეხვედრივართ ერთმანეთს?

ინესი – არა, ასე რომ ყოფილიყო, არ დაგივიწყებდით.

ესტელი – ან იქნებ საერთო ნაცნობები გვყავს? დიუბუა-სეიმურები ხომ არ გეცნობათ?

ინესი – ღმერთმანი, საკვირველი კი იქნებოდა, რომ ამ გვართან რაიმე საერთო მქონოდა.

ესტელი – მეჯლისებზე უამრავ ხალხს იწვევენ.

ინესი – რას საქმიანობენ?

ესტელი – (*გაოცებული*) არაფერს. ციხე-დარბაზი აქვთ კორეზში და...

ინესი – მე ფოსტის მოხელე გახლდით.

ესტელი – მართლა? (*გაჩუმდება. ცოტა ხნის შემდეგ*) თქვენ, ბატონო გარსენ? არც თქვენ გეცნობათ ეს გვარი?

გარსენი – აბა, საიდან? მთელი სიცოცხლე ჩემი ქალაქიდან ფეხი არ მომიცვლია.

ესტელი – თუ ასეა, საესებით მართალი ბრძანდებით... აქ შემთხვევამ შეგვყარა.

ინესი – შემთხვევამ? ესე იგი ეს ავეჯიც შემთხვევით მოხვდა აქ! ისიც შემთხვევის ბრალია, რომ მარჯვენა ტახტი სალათისფერია, მარცხენა კი შინდისფერი. უბრალო დამთხვევაა, არა? აბა, ერთი სცადეთ მათი გადაადგილება... ამ ნათურაზე რაღას იტყვით? ან ამ სიცხეზე? (*ჩუმდება*) უმცირესი ნვრილმანიც კი არ გამოპარვიათ. აქაურობას საქმეში ჩახედული კაცის ხელი ატყვია. ეს ოთახი კი სნორედ ჩვენ გველოდა.

ესტელი – რატომ მაინც და მაინც ეს ოთახი? ყველაფერი ისეთი უშნოა, მოუხეშავი, დახუთული. მე კი კუთხეები მეზიზღება.

ინესი – (*მხრებს იჩეჩავს*) არც მე მიცხოვრია მეორე იმპერიის სტილის დარბაზებში.

დუმილი.

ესტელი – მაშ, ყველაფერი წინასწარ მოფიქრებულია, არა?

ინესი – დიახ, სწორედ ასეა. ჩვენც საგანგებოდ შეგვარჩიეს.

ესტელი – განა შემთხვევით არ მოხდა, რომ ახლა ჩემს წინ სწორედ თქვენ ზიხართ? (*გაჩუმდება*) კი, მაგრამ რაღას ელიან?

ინესი – არ ვიცი. ეს კია, რომ რაღაცას ელიან.

ესტელი – ვერ ვიტან, როცა ჩემგან რაღაცას მოელიან. ნამსვე წინააღმდეგობის ჟინი მიპყრობს.

ინესი – მერე და აყვეით მაგ თქვენს ჟინს. მაგრამ, რომ არ იცით, რას ელიან?

ესტელი – (*ფეტებს აბაკუნებს*) საშინელებაა. უბედურებას თქვენგან უნდა ველოდე? (*ორივეს შეაცქერდება*) თქვენ ორნი უნდა იყოთ ჩემი უბედობის მიზეზი? ზოგჯერ ადამიანს თვალის ერთი შევლებით ამოვიცნობ. თქვენ კი უტყვი სახეები გაქვთ.

გარსენი – (*ინესს მიუბრუნდება*) თქვენი აზრით, რატომ შეგვყარეს ერთად? თქვენ ისედაც ბევრი თქვით: ბარემ დაასრულეთ.

ინესი – (*გაოცებული*) ვერაფერს გეტყვით. ამ საქმის არაფერი გამეგება.

გარსენი – თქვენ რალაცა იცით. (*წამით ჩაფიქრდება*)

ინესი – აი, თითოეულ ჩვენგანს გამბედაობა რომ ეყოს და თქვას...

გარსენი – რა თქვას?

ინესი – ესტელ!

ესტელი – გისმენთ!

ინესი – რა ჩაიდინეთ? რისთვის გამოგისტუმრეს აქეთ?

ესტელი – (*მკვირცხლად*) არ ვიცი, არაფერი არ ვიცი. ამასაც ვეჭვობ, შეცდომა ხომ არ მოუვიდათ. (*ინესს*) ნუ იცინით! წარმოიდგინეთ უამრავი ადამიანი, რომელიც ყოველდღე ქრება... ისინი ათასობით მოდიან აქ და ხეპრე მოსამსახურეების ხელში ვარდებიან. ამათ კი არავითარი წარმოდგენა არა აქვთ საქმის ვითარებაზე. ამიტომაცაა, რომ ხშირად ეშლებათ კიდეც. ნუ იცინით-მეთქი. (*გარსენს*) ეი, თქვენ, რამე გვითხარით. თუკი ჩემს შემთხვევაში შეცდნენ, რაღა გასაკვირია, რომ თქვენც შეცდომით მოხვედით აქ? გვიჯობს, ყველაფერი შეცდომას დავაბრალოთ.

ინესი – სულ ეს არის? ამის თქმა გსურდათ?

ესტელი – მეტი რა მეთქმის? დახამალი არაფერი მაქვს. ობლობასა და სიღარიბეში გავიზარდე. უმცროს ძმასაც ვპატრონობდი. მერე მამაჩემის ძველმა მეგობარმა ხელი მთხოვა. მდიდარი იყო, თანაც გულმოწყალე. მეც დავთანხმდი. თქვენ როგორ მოიქცეოდით ჩემს ადგილზე? ძმა ავადმყოფობდა და მოვლას ითხოვდა. ქმართან სიამტკბილობით ცხოვრება ექვს ნელინადს გაგრძელდა. ორი წლის წინათ კი იმას შევხვდი. ჩემი საყვარელი გახდა. პირველივე ნახვით შევიყვარეთ ერთმაენთი. მთხოვა თან წავყოლოდი. მე უარი ვუთხარი. მერე ფილტვების ანთება შემეყარა. ეს იყო და ეს. შეიძლება ვინმემ ისიც ცოდვად ჩამითვალოს, რომ ჩემი ახალგაზრდობა იმ ბებრუხანას შევალიე. (*გარსენს*) განა ამას ცოდვა ეთქმის?

გარსენი – რა თქმა უნდა, არა. (*ცოტა ხნის შემდეგ*) თქვენ როგორლა ფიქრობთ, ცოდვაა თუ არა საკუთარი პრინციპებით ცხოვრება?

ესტელი – ამაში არაფის გაამტყუნებ.

გარსენი – მე ერთ პაციფისტურ გაზეთს ვრედაქტორობდი. ომი დაიწყო. რა უნდა მექნა? ყველა მე მომჩერებოდა, აბა, გაბედავს თუ არაო? მეც გავბედე. ხელები გულზე დავიკრიფე და... დამხვრიტეს. განა ეს ცოდვაა? თქვენ გეკითხებით?

ესტელი – (*მკლავზე დაადებს ხელს*) ეს ცოდვაში არ ჩაგეთვლებათ. თქვენ ხართ...

ინესი – (*ირონიულად დაამთავრებს*) ...ვმირი. თქვენი ცოლი რასა იქმს, გარსენ?

გარსენი – ჩემი ცოლი? მე იგი დახრჩობას გადავარჩინე.

ესტელი – (*ინესს*) აი, ხომ ხედავთ? ხომ ხედავთ?

ინესი – ჰო, ვხედავ. (ცოტა ხნის შემდეგ) მაინც ვისი გაცურება გსურთ? ჩვენ ხომ შინაურები ვართ.

ესტელი – (*მკვახედ*) შინაურები?

ინესი – დიახ, თუ ვნებავთ, მკვლელები. ჩვენ ჯოჯოხეთში ვართ, ცუგრუმელავ. აქ არავითარი შეცდომა არაა და ტყუილუბრალოდაც არავინ შეგვრისხავდა.

ესტელი – კმარა!

ინესი – ჯოჯოხეთში ვართ, გესმით! შერისხულნი, შერისხულნი!

ესტელი – გეყოფათ! ნუთუ აღარ გაჩუმდებით? მკვახე სიტყვების ხმარებასაც გიკრძალავთ!

ინესი – შერისხული უბინო ანგელოზი.. შერისხული სპეტაკი ვმირი... ჩვენც ხომ გექონდა საამო წუთები? ასე არაა? ვიღაცა ხომ სიკვდილამდე იტანჯებოდა ჩვენს გამო? ჩვენ კი მისი ცქერით ვტკბებოდით. ახლა უნდა ვზღოთ.

გარსენი – (*ხელს ასწევს*) გაჩუმდებით თუ არა?

ინესი – (*მშვიდად, მაგრამ გაოცებით უცქერს*) აჰა!.. (*ცოტა ხნის შემდეგ*) დამაცადეთ! აი, თურმე რა... ახლა კი ვხვდები, რატომაც შეგვყარეს ერთად.

გარსენი – სიტყვებს უფრთხილდით!

ინესი – ყველაფერი დღესავით ნათელია. ახლავე დარნმუნდებით. ფიზიკურად ხომ არავინ გვტანჯავს? მაგრამ მაინც ჯოჯოხეთში ვართ. მეტი აქ არავინ მოვა. არავინ. ჩვენ ბოლომდე მარტონი დავრჩებით. ასე არ არის? ერთი სიტყვით, ჯალათი გვყავს.

გარსენი – (*ხმადაბლა*) ამას რაღა მტკიცება უნდა.

ინესი – უბრალოდ ერთი კაცის ხარჯი დაზოგეს. ეს არის და ეს. აქ თვითმმსახურებაა, ისე, როგორც დაბალფასიან რესტორნებში.

ესტელი – რის თქმა გსურთ? ვერაფერი გამიგია.

ინესი – იმისა, რომ თითოეული ჩვენგანი დანარჩენი ორის ჯალათია.

სიჩუმე. გარსენი და ესტელი ამ ახალ ამბავს ინელებენ, იაზრებენ.

გარსენი – (*წყნარი ხმით*) მე თქვენი ჯალათი ვერ ვიქნები. თქვენ ჩემთვის არაფერი დაგიშავებიათ და მეც არაფერი მესაქმება თქვენთან. ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაშ ასე, ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოთ. თითქოსდა მეჯლისზე ვიყოთ. თქვენ იქ, თქვენ მანდ, მე კი აქ. კრინტი არ დაძრათ... არც ერთი სიტყვა... ეს არც თუ ისე ძნელია; ჩვენ-ჩვენი საფიქრელიც გვეყოფა. დარწმუნებული ვარ, საუკუნეს გავძლებდი უბრად.

ესტელი – უნდა გავჩუმდე?

გარსენი – დიახ, ეს დუმილი თუ გადაგვარჩენს. იყუჩეთ! საკუთარ გულში ჩაიხედეთ და აღარასოდეს აღარ ასნიოთ თავი. შევთანხმდით?

ინესი – თანახმა ვარ.

ესტელი – (*ყოყმანის შემდეგ*) ასე იყოს.

გარსენი – ასეა, მშვიდობით.

ტახტთან მიდის და თაღს ხელებში ჩარგავს. სიჩუმეა. ინესი თავისთვის მღერის)

თეთრი ქურქების უბანი
აივსო ხარაჩოებით,
კასრში ჩააგდეს ხორცები
და ნამოჭიმეს ქუჩაზე

ახალი ეშაფოტები...
თეთრი ქურქების ქუჩაზე
ჯალათი დგება ადრიან...
მას დიდი ჯაფა ადგია.

უნდა დაყაროს თავები...
მისი მსხვერპლია ყოველი,
არასმქონეც და მქონელიც...
თეთრი ქურქების ქუჩაზე

შეგროვდნენ უბნის ქალები,
ჩვეულებრივი ქალები,
ყელზე შეუბამთ ლალები,
მაგრამ გაცუდდა სეირი -

აღარც თავები, არც ლეში
მხოლოდღა ერთი დაგორდა
იმ თეთრი ქუჩის წუმპეში.

ამასობაში ესტელი პომადას ისვამს ტუჩებზე, სახეზე ფერუმარილს იდებს და შეწუხებული სახით ეძებს სარკეს. ხელჩანთას ხსნის, მერე გარსენს მიუბრუნდება.

ესტელი – სარკე ხომ არა გაქვთ? (*გარსენი არ ეპასუხება*) გინდაც ჯიბისა იყოს, სულერთია. (*გარსენი დუმს*) თუკი მიმატოვეთ, სარკე მაინც მიშოვნეთ.

თავზაყინდრული გარსენი უპასუხოდ სტოვებს ესტელს.

ინესი – (*ნაჩქარევად*) ხელჩანთაში უნდა მქონდეს. (*ხელს აფათურებს ჩანთაში, მერე სინანულით ამბობს*) ვერ ვიპოვნე. მგონი, ჩხრეკის დროს ამომაცალეს.

ესტელი – (*თვალებს აღებს და იღიმება*) რაღაც უცნაურად ვგრძნობ თავს. (*ტანზე ხელს ისვამს*) შეიძლება თქვენ ეს არასოდეს მოგსვლიათ. სარკეში ჩემს ორეულს რომ ვერ ვხედავ, საკუთარ არსებაში ეეჭვდები.

ინესი – ბედნიერი ყოფილხართ. მე ჩემს თავს მუდამ შიგნიდან ვუმზერ.

ესტელი – შიგნიდან არა? იცით, რაც ტვინში ხდება ყველაფერი ისე ბუნდოვანი და მოსაწყენია. (*ოთახში ექვსი დიდი სარკე მიდგას. მე მათ ვუცქერ. ისინი კი ვერ მხედავენ. სარკეები ტახტს, ნოხსა და დივანს ირეკლავს. რა ცარიელი მეჩვენება სარკე, როცა მასში მე არ ვჩანვარ. ლაპარაკს ვიწყებ თუ არა, ვცდილობ ისე მოვთავსდე, რომ სარკეში გამოვჩნდე. ლაპარაკობ და თან სარკეში საკუთარ თავს ვაკვირდები. იმასაც ვხედავ, რომ სხვებიც მაკვირდებიან. ამიტომ, ყოველთვის ფხიზლად ვარ. (*იმედგადაწყვეტილი*) ოჰ, ჩემი პომადა! დარწმუნებული ვარ, სულ გავითხუპნე. ხომ არ შეიძლება უსარკოდ ვიყო?*) ინესი – გინდათ სარკის მაგივრობა გაგინიოთ? მომიახლოვდით, ჩემს ტახტზე ჩამოჯექით.

ესტელი – (*გარსენზე ანიშნებს*) კი მაგრამ...

ინესი – ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

ესტელი – განა თქვენ არ ამბობდით, ერთმანეთს უბედურებას ავუტეხთო?

ინესი – აი, შენ კი უბედურებას გადამიდებ. მაგრამ აბა, ამას რა მნიშვნელობა აქვს? თუ მაინც უნდა ვიტანჯო, სჯობს,

მაშინ ისევ შენ იყო ამის მიზეზი, დაჯექი. ახლოს მოიწი. კიდევ უფრო ახლოს მოდი. თვალებში ჩამხედე: ხომ ხედავ საკუთარ თავს?

ესტელი – რა პატარა ვარ. ძალიან ცუდად ვხედავ.

ინესი – მე კი კარგად ვხედავ... თავით ფეხებამდე... თუ გსურს რაიმე შემეკითხო, ნუ მერიდები, ჩემნაირ მართალ სარკეს ვერც ინატრებ.

შეცბუნებული ესტელი გარსენს მიუბრუნდება, თითქოსდა, შველას თხოვსო.

ესტელი – ბატონო! თავი ხომ არ მოგაბეზრეთ ჩვენი ლაყბობით?

გარსენი არ პასუხობს.

ინესი – შეეშვი, ეგ სათვალავში ჩასაგდებიც არ არის, ჩვენ მარტონი ვართ. აბა ჰე, შემეკითხე.

ესტელი – პომადა კარგად მისვია?

ინესი – დამაცა... არც ისე კარგად.

ესტელი – ასეც ვიცოდი. კიდევ კარგი (*გარსენს გახედავს*) არავინ მიცქერის. ერთხელაც ვცდი.

ინესი – ასე სჯობს. არა, მოიცა, ტუჩების ხაზს მიყევი. მე გიკარნახებ. აი, აქ, ახლა აქაც. კარგია.

ესტელი – აქ შემოსვლისას რომ მქონდა, ისეა?

ინესი – არა, ახლა უკეთესია. ხაზიც უფრო მკვეთრი და უფრო ვნებიანია. ჯოჯოხეთური პირი გაქვს.

ესტელი – მაშ, რიგიანადაა, არა? რა ცუდია, რომ ვერ ვხედავ. დაიფიცეთ, რომ ყველაფერი რიგზეა.

ინესი – არ გინდა შენობით ვილაპარაკოთ?

ესტელი – არა, მართლა კარგად ნავისვი?

ინესი – მშვენიერი ხარ.

ესტელი – გემოვნება თუ გაქვთ? ჩემი გემოვნებისა თუ ხართ? ო, რა საბანჯველია...

ინესი – მეც შენისთანა გემოვნება მაქვს. ამიტომაც მომწონ-ხარ. კარგად დამაკვირდი, გამილიმე. არც მე ვარ შეუხედავი. განა სარკეზე მეტი არ ვღირვარ?

ესტელი – არ ვიცი. თქვენი მრცხვენია. სარკეში ჩემი გამოსახულება მოთვინიერებული მყავდა, ძალზე კარგად ვიცნობდი მას. ახდა რომ გავიცინო, ჩემი სიცილი თქვენი თვალების სილრმეში ჩაიძირება და ღმერთმა უწყის, რად იქცევა იქ.

ინესი – ჩემს მოშინაურებას ვინლა გიშლის? (*ერთმანეთს უყურებენ. ესტელი იღიმება. ეტყობა მოლბა*) მართლა არ გინდა შენობით მელაპარაკო?

ესტელი – მეძნელება ქალებთან შენობით ლაპარაკი.

ინესი – განსაკუთრებით კი ფოსტის მოხელეებთან არა? ეს რა გაქვს, აი, აქ ლოყის ძირას? ნითელი ლაქა?

ესტელი – (*შეცბება*) ნითელი ლაქა, რა საშინელებაა! კი მაგრამ, სად?

ინესი – ო, ლა, ლა!.. გამოგიჭირე, ჩემო ტოროლავ! არავითარი ნითელი ლაქა არა გაქვს. ნერტილსაც ვერ ნახავ. ნარმოგიდგენია, სარკე ტყუოდეს? თვალები რომ დავხუჭო, მაგ შენს სილამაზეს რაღას უზამ? ნუ გეშინია, თვალს არ მოგაშორებ. ეს კი არადა, უფრო ფართოდ გავახელ. თავაზიანიც ვიქნები, ძალზე თავაზიანი... მაგრამ ერთი პირობით: შენობით მელაპარაკე.

ესტელი – მოგწონვარ?

ინესი – ძალიან.

ესტელი – (*გარსენისკენ გადაიჭეზეს თავს*) მინდა, იმანაც მიცქიროს.

ინესი – აპა, იმიტომ რომ მამაკაცია, არა? (*გარსენს*) რა გაეწყობა, თქვენი არჩევანი ყოფილა. (*გარსენი არ პასუხობს*) ბოლოს და ბოლოს, შეხედავთ თუ არა? (*გარსენი სდუმს*) თავს ნუ იკატუნებთ, თქვენ ერთი სიტყვაც არ გამოგპარვიათ.

გარსენი – (*ერთბაშად თავს ასწევს*) სნორი ბრძანდებით. ყველაფერი მესმოდა. ყურებზე ხელები აეიფარე, მაგრამ რა? თქვენმა ლაქლაქმა ტვინი გამიბურღა. ახლა მაინც მომეშვით! თქვენთან არაფერი მაქვს საერთო.

ინესი – არც ამ პატარასთან? ამოიცანი თქვენი ფანდი: თავს იფასებთ, გინდათ გაალზიანოთ.

გარსენი – გითხარით, თავი დამანებეთ-მეთქი. ვილაც ჩემზე ლაპარაკობს რედაქციაში და მინდა, მოვუსმინო. ფეხებზე მკიდია თქვენი პატარა. არც ახლა მომეშვებით?

ესტელი – მადლობა მომიხსენებია.

გარსენი – მაპატიეთ... უხეშად გამომივიდა.

ესტელი – ხეპრე!

ცოტა ხანი ერთმანეთის პირისპირ დგანან.

გარსენი – აი, ხომ ხედავთ! აკი გთხოვეთ, ჩუმად ვიყოთ-მეთქი.

ესტელი – ამან ნამოიწყო. თვითონ შემომთავაზა სარკე. მე არაფერი მითხოვია.

ინესი – არაფერი... უბრალოდ იმას ეკეკლუცებოდი. მისი ყურადღება გინდოდა მიგექცია და ამიტომაც იპრანჭებოდი.

ესტელი – მერე და რა?

გარსენი – გაგიჟდით? ვერ ხედავთ, სანამდე მიეედით? გა-

ჩუმდით-მეთქი. (*პაუზა*) მშვიდად ვიჯდეთ, თვალები დავხუჭოთ და ერთმანეთის დავინყებას შევეცადოთ.

ადგილებს უბრუნდებიან – ინესი მკვეთრად შემოტრუნდება.

ინესი – ჰმ, ერთმანეთი დავივიწყოთ? რა სისულელეა! სხეულით გრძნობს ორთავეს. თქვენი დუმილი სმენას მიხშობს. შეგიძლიათ პირზე ბოქლომი დაიდოთ. ენაც ამოიგდოთ, მაგრამ თქვენს არსებობას რაღას მოუხერხებთ? შეძლებთ კი საკუთარი ჯრების შეწერებას? მე მესმის ისინი, საათივით ტიკტიკებენ. ისიც ვიცი, რომ თქვენც კითხულობთ ჩემს ჯრებს. ამაოდ მიყუჟულხართ ტახტის კუთხეში. თქვენ ყველგან ხართ. ყოველი ბგერა ჩემამდე გაცვეთილი მოდის, იმიტომ, რომ ამ ბგერებს თქვენც იყენრთ. თქვენ სახე მომპარეთ: თქვენ მას ხედავთ, მე კი ვერა. ახლა კიდევ ეს! (*ესტელზე უთითებს*) ესეც ხომ მომტაცეთ. მარტო რომ ვიყოთ, გგონიათ ასე მომექცეოდა? თავი ასწიეთ. არ შეგეშვებით. ძალიან კი გინდათ, მაგრამ ვერ მოგართვეს. დარჩებოდით ასე, როგორც ახლა ხართ, ბუდასავით საკუთარ ჯრებში ჩაძირული, ვნებისგან დაცლილი. მე თვალებს დავხუჭავდი და ეიგრძნობდი, როგორ შემოგთავაზებდათ ჩვენი ცეგრუმელა მთულ თავის სიცოცხლეს. კაბის ბრიალსაც თქვენ მოგიძღვნიდათ, ღიმილს დაგიფრქვევდათ, თქვენ კი... თქვენ ვერც ამას იგრძნობდით. არა, ეს არ მოხდება! ჩემს ჯოჯოხეთს მე თავათვე ვირჩევ... ამიტომაც მსურს, ღია თვალებით გიყუროთ და პირისპირ გებრძოლოთ.

გარსენი – რა გაეწყობა. ვეგრძნობდი, ასეც იქნებოდა. თოჯინებივით გვათამაშებენ, მამაკაცებთან მაინც მოვხვედრილიყავი?! მამაკაცებმა იციან დუმილის ყადრი. მაგრამ ზედმეტის მოთხოვნაც არ შეიძლება. (*ესტელთან მიდის. ნიკაპში ამოსდებს ხელს*) ესე იგი, მე შენ მოგწონვარ, პატარავ? მგონი, მეპრანჭები კიდეც?

ესტელი – ნუ მეხებით.

გარსენი – ოპო, ერთი ამას დამიხედეთ! ქალები ძალიან მიყვარს, გესმის? ქალებსაც მოვნონდი. დაწყნარდი, ჩვენ ალარაფერი გვაქვს დასაკარგი. ზრდილობასა დვ თავაზს რა თავში ვიხლით? ერთი წამიც და შუშასავით გამჭვირვალე ვიქნებით.

ესტელი – თავი დამანებეთ!

გარსენი – შუშასავით-მეთქი, ვამბობ. ხომ გაგაფრთხილეთ. ცოტაოდენი სიწყნარისა და სიმშვიდის მეტი თქვენთვის არაფერი მითხოვნია. ყურები დავიხშე... გომეცი ლაპარაკობდა, მაგიდებს შორის იდგა, ამხანაგები კი უსმენდნენ. პერანგის ამარა იყვნენ. მინდოდა, გამეგო რას ლაპარაკობდნენ. ძნელი კი იყო: მინაზე მოვლენები ძალზე სნრაფად ვითარდება. არ შეგიძლიათ გაჩუმდეთ?

ყველაფერი დასრულდა. გომეცმაც დაამთავრა. ის, რასაც ჩემზე ფიქრობს, ახლა მის ტკინშია მიმალული. რადგან ასეა, ბოლომდე მივყვეთ, შუშასავით გამჭვირვალე გავხდეთ. გამაგებინეთ მაინც, ვისთან მოვხვდი?

ინესი – თქვენ ყველაფერი იცით.

გარსენი – სანამ თითოეული ჩვენგანი არ აღიარებს, თუ რატომ და რისთვის დაისაჯა, მანამდე არაფერი გვეცოდინება. შენ, ეი, ქერათმიანო, დაიწყე. გვითხარი, რატომ მოხვდი აქ? შენმა აღსარებამ შეიძლება უბედურება აგვაცილოს. საკუთარ ურჩხულებს მაინც შევიცნობთ. აბა, რას გვეტყვი?

ესტელი – ხომ გითხარით, არ ვიცი-მეთქი. ჩემთვის მიზეზი არავის აუხსნია.

გარსენი – არც ჩემთვის უთქვამთ რამე. მაგრამ საკუთარ თავს ხომ კარგად ვიცნობ? გეშინია, პირველმა დაიწყო? მაშ, კარგი, მე დაეინყებ (*ცრუმუმ*). არც თუ ისე ლამაზი ამბავია.

ინესი – არაფერია. ვიცი, რომ დეზერტირი ხართ.

გარსენი – კმარა! ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. აქ იმიტომ ვარ, რომ მთელი ხუთი ნელი ცოლს ვანამებდი. ეს არის თავი და თავი, რა თქმა უნდა, იგი ახლაც იტანჯება... აი ისიც... როდესაც მასზე ვლაპარაკობ, თვალწინ დამიდგება, მე გომეცი მაინტერესებს, მაგრამ ჩემი ცოლის მეტს ვერავის ვხედავ. სად არის გომეცი? ჰო, ხუთი ნელი-მეთქი... ერთი შეგახედათ ჩემი ცოლისთვის! ჩემი ნიკთები დაუბრუნეს. ახლა ფანჯარასთან ზის, მუხლებზე ტყვიებით დაცხრილული პიჯაკი უდევს... პიჯაკში თორმეტი ნახვრეტია. აი, სისხლიც. გეგონებათ ქსოვილს ჟანგი მოედო. ნახვრეტების კიდეები შეტრუსულია. სნორედ რომ სამუზეუმო ნივთია, ისტორიული პიჯაკი... წარმოიდგინეთ, ეს პიჯაკი მე მეცვა. ნეტავ თუ იტირებს? იტირებს, თუ არა?.. მე გალეშილი ვბრუნდებოდი სახლში. ღვინისა და ქალის სუნით ეყარდი. იგი მთელი ღამე მელოდებოდა. აი, თვალები კი... დიდი, ფართო თვალები... მე არაფერს ვნანობ. ყველაფერს ვზლავ. მაგრამ სინანული, ნურას უკაცრავად... გარეთ თოვს. ბოლოს და ბოლოს, იტირებ თუ არა? ეს ქალი მსხვერპლადაა გაჩენილი.

ინესი – (*თითქმის რბილად*) რატომ აწვალებდით?

გარსენი – იმიტომ, რომ სხვების ნეალება ადვილია. ერთი გადაბრუნებული სიტყვა რომ მეთქვა, ნამსვე ფერი ეცვლებოდა. მგრძნობიარე გახლდათ. საყვედური არასდროს უთქვამს. მე ადვილად ვბრახდები, სულ იმის მოლოდინში ვიყავი, აი, ახლა იფეთქებს-მეთქი, მაგრამ. არც მისი ცრემლი მინახავს და არც მისი

სამდურავი მსმენია. მე იგი მდინარიდან ამოვათრიე, გესმით? ჩემს პიჯაკს ეფერება, მაგრამ თვალს კი არიდებს. თითებით ეძებს ნახვრეტებს. რალას ელი? რისი იმედი გაქვს? ხომ გითხარი, არაფერს ვნანობ-მეთქი. იცით, რა არის მთავარი? იგი მაღმერთებდა; გესმით რა არის ეს?

ინესი – არა, მე არაკინ მაღმერთებდა.

გარსენი – მით უკეთესი თქვენთვის. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, უაზრობად მიგაჩნიათ. აბა, მაშ ერთ ამბავს მოგიყვებით. მულატი ქალი ჩამოვისახლე. ღმერთო, რა ღამეები იყო! ჩემი ცოლი ჩვენზე ადრე წვებოდა. კარგად ესმოდა ჩვენი ფაცი-ფუცი. დილითაც გვასწრებდა ადგომას. ჩვენ კი გვიანობამდე საწოლში ვნებივრობდით. ჩემს ცოლს ყავა მოეტანა ჩვენთვის. დილის საუზმესაც საწოლში მოგვართმევდა ხოლმე.

ინესი – ნაძირალა!

გარსენი – დიახ, დიახ, სწორი ბრძანებაა! ნაძირალა, რომელიც გაგიკვირებთ უყვარდათ. (*თითქოსდა აზრი დაებნა*) არა, არაფერი... ეგომეცია, მაგრამ ჩემზე აღარ ლაპარაკობს. ნაძირალაო, ბრძანებთ არა? ეშმაკმა დალახვროს. ასე რომ არ იყოს, აქ რა მესაქმება? თქვენ რალას გვეტყვით?

ინესი – მე? ჰოო, – მე იქ. ქვემოთ რომ იტყვიან ჯადო ქალიაო, სწორედ ისეთი გახლდით.. იმთავითვე შერისხული ვიყავი, გესმით? ჰოდა, ყოველივე ეს არც თუ ისე გამკვირვებია.

გარსენი – სულ ეს არის?

ინესი – არა, ერთი რამეც ფლორანს ეხება. თუმცა, ამბავი მკვდრებს უფრო ეხება. სამ მკვდარს; ჯერ ის, მერე ქალი, დაბოლოს კი მე. იქ, ქვემოთ აღარავინ დარჩა, ესაა, რომ მამშვიდებს. აი, ოთახისა კი რა მოგახსენოთ... ახლაც თვალწინ მიდგას... გამოცარიელებული, ჩარაზული დარაბებით. აი, ბოლოს და ბოლოს ლუქი ახსნეს... ახლა ქირავდება... კარზე განცხადებაა გაკრული. სასაცილოა ღმერთმანი!

გარსენი – სამი მკვდარი.. სამი თქვით, არა?

ინესი – ჰო, სამი.

გარსენი – ერთი კაცი და ორი ქალი.

ინესი – ასე გახლავთ.

გარსენი – კარგი ამბავია. (*გარუმდება*) კაცმა თავი მოიკლა?

ინესი – ამის ვაჟკაცობა ვინ მისცა? მაგრამ მშვიდი სიკვდილი მაინც ვერ ეღირსა. ტრამვაიმ გაიტანა. სასაცილოა, არა? მე მათთან ვცხოვრობდი, იგი ჩემი ბიძაშვილი იყო.

გარსენი – იმ თქვენს ფლორანს ქერა თმა ჰქონდა?

ინესი – ქერა? (*ესტელს შეხედავს*) იცით, სინდისი არ მაწუხებს, მაგრამ ამ ამბის დაწვრილებით მოყოლაც არ მეპიტნავება.

გარსენი – თქვენც ერთი! გაეგრძელეთ! თავი მოგაბეზრათ, არა?

ინესი – თანდათანობით. ჯერ ეს, მერე ის... მაგალითად, წყალს ხვრეპა-ხვრეპით სვამდა, თითქოს დიდი არაფერია... უბედური კაცი კი იყო, სუსტი და უნდილი. რატომ გეცინებათ?

გარსენი – იმიტომ, რომ სუსტი და უნდილი არ გახლავართ.

ინესი – ამასაც ვნახავთ... მე მისი ცოლის გულში ჩავსახლდი, იგი ქმარს ჩემი თვალებით ხედავდა... ბოლოს და ბოლოს კისერზე ჩამომეკიდა. ქალაქის მეორე ბოლოში გადავსახლდით.

გარსენი – შემდეგ რა მოხდა?

ინესი – მერე, სწორედ იმ ტრამვაის გადაეყარა. იგი ჩვენ მოეკალით, კუდრაჭავ, რას იზამ – ყოველ ცისმარე დღეს ამას ვუჩიჩინებდი მის ცოლს. რას იზამ? ფულბოროტი ვარ.

გარსენი – ჰო, მეც ასეთი ვარ.

ინესი – არა, თქვენ ბოროტი არ ხართ. ეს სხვა რამაა.

გარსენი – მაინც რა?

ინესი – მოგვიანებით გეტყვით: მე მართლაც რომ ავი ვარ: ამით იმას ვამბობ, რომ სხვისი ტანჯვით ვარსებობ. სხვის გულში ანთებული ჩირაღდანი ვარ. როცა მარტო ვრჩები, ვქრები. მთელი ექვსი თვე ამ ქალის მკერდში ვენთე. ყველაფერი გადავბუგეერთხელაც შუაღამისას ადგა. გაზის ონკანი მოუშვა... ვერაფერი ვიგრძენი. მერე გვერდით მომიწვა... აი, სულ ეს არის.

გარსენი – ჰოო...

ინესი – რაო?

გარსენი – არაფერი, არც თუ ისე სუფთა საქმეა.

ინესი – ჰო, სუფთაა, ვერ იტყვი. მერე და რა?

გარსენი – არც არაფერი. სწორია, ასეც უნდა იყოს. (*ესტელს*) ახლა შენი ჯერია. შენ რალა ჩაიდინე?

ესტელი – ხომ გითხარით, არაფერი ვიცი-მეთქი. ახლაც ამაოდ ვეძებ ახსნას.

გარსენი – კარგი... რადგან ასეა, დაგეხმარებით. აი, ის სახემოღრეცილი ტიპი ვინაა?

ესტელი – რომელი ტიპი?

ინესი – კარგად იცი... აი, ის, ვისიც გეშინოდა, აქ რომ შემოხვედი.

ესტელი – ერთი ჩემი მეგობარია.

გარსენი – რატომ გეშინოდა მისი?

ინესი – შენს გამო მოიკლა თავი?

ესტელი – ხომ არ გაგიჟდით?!

გარსენი – მაშ, რალა გაშინებდა? საფეთქელში დაიხალა ტყვია,

ხომ ასეა? იმიტომაა, რომ ახლა სახეც აღარა აქვს.

ესტელი – გაჩუმდით! გაჩუმდით!

გარსენი – შენს გამო მოხდა ყველაფერი, დიახ, შენს გამო.

ინესი – შენს გამო მოიკლა თავი.

ესტელი – თავი დამანებეთ! მე თქვენი მეშინია. გარეთ გასელა მინდა.

კარს მიაღებდა და შეანჯღრევს.

გარსენი – წადი! არავინ გიჭერს. მაგრამ, საუბედუროდ, კარი გარედანაა ჩარაზული.

ესტელი რეკავს. ზარის ხმა არ ისმის. ინესი და გარსენი იცინიან. ესტელი მიუბრუნდება და კარს ზურგით ეყრდნობა.

ესტელი – (*ჩახლეჩილი და დაღლილი ხმით*) ნაძირალები ხართ...

ინესი – თავით ფეხამდე ნაძირალები. ჰო, მერე რაღა მოხდა? ისე კი ცხადია, რომ იმ ტიპმა შენი გულისთვის მოიკლა თავი.შენი საყვარელი იყო?

გარსენი – რა თქმა უნდა, მისი საყვარელი იყო. გვერდიდან არ იშორებდა. ასე არ არის?

ინესი – ტანგოს პროფესიონალივით ცეკვავდა, მაგრამ, მგონი, ღარიბი უნდა ყოფილიყო.

დუმილი.

გარსენი – ღარიბი ხომ არ იყოო, გეკითხებიან.

ესტელი – დიახ, ღარიბი იყო.

გარსენი – მერე კიდეე, სახელს უნდა გაფრთხილებოდი. ერთ დღეს მოვიდა, ბევრი გეეედრა, შენ კი დასცინე.

ინესი – რაო? მართლა დასცინე? ამიტომ მოიკლა თავი?

ესტელი – ასეთი თვალებით უყურებდით ფლორანს?

ინესი – დიახ.

სიჩუმე. ესტელი იცინის.

ესტელი – თქვენ არაფერი არ გესმით. (*წამოდგება და უყურებს მათ, ისევ კარის წირთხლს მიყრდნობილი. მკვახე, გამომწვევი ტონით*) მას სურდა ბავშვი გვყოლოდა. ესეც თქვენ, ამახე რაღას იტყვით?

გარსენი – შენ კი უარზე იდექი.

ესტელი – ბავშვი მაინც მეყოლა. ხუთი თვე შეეიცარიაში გავატარე. არავის არაფერი გაუგია. გოგონა იყო. მშობიაროობისას როუეც თავს მადგა. უხაროდა, გოგონა რომ შეგვეძინა. მე კი გული მიკვდებოდა.

გარსენი – მერე?

ესტელი – ჩვენი ოთახის აივანი ტბას გადაჰყურებდა. ლოდი მოვათრიე. როუე ყვიროდა: „ესტელ, გეეედრები. ესტელ, ნუ იზამ". მე იგი მძულდა. ყველაფერი მის თვალნინ მოხდა: აივანზე გადაიხარა და ტბის ზედაპირზე მილებულ წრეებს უყურებდა.

გარსენი – მერე?

ესტელი – სულ ეს იყო. მერე პარიზში დავბრუნდი. მან კი ჩანაფიქრი აღასრულა.

გარსენი – შუბლი გაიხვრიტა, არა?

ესტელი – ჰო, მაგრამ ამაოდ დაშვრა: ჩემს ქმარს ეჭვიც არ აუღია. (*პაუზა*) მეზიზღებით.

უცრემლოდ ქვითინებს.

გარსენი – ტყუილად ირჯებით. აქ ცრემლებისა არ სჯერათ.

ესტელი – მხდალი ვარ, მხდალი? (*პაუზა*) რომ იცოდეთ, როგორ მეზიზღებით.

ინესი – საბრალო ცუგრუმელა! (*გარსენს*) გამოძიება დასრულდა. ეგ ჯალათის ნიღაბიც აღარ გჭირდებათ.

გარსენი – ჯალათის ნიღაბი?.. (*მიმოიხედავს*) რას არ მივცემდი, ერთხელ მაინც რომ ჩამაზედა სარკეში. (*პაუზა*). რა სიცხეა! (*აუტომატურად პიჯაკს იხდის*) ო! მაპატიეთ.

პიჯაკის ჩაცმას აპირებს.

ესტელი – ნუ წუხდებით, ახლა უკვე...

გარსენი – დიახ, დიახ (*ტახტზე მიაგდებს პიჯაკს*). ნუ მიბრაზდებით, ესტელ.

ესტელი – არც მიფიქრია.

ინესი – ჩემზე რაღას იტყვი? მებუტები?

ესტელი – დიახაც.

სიჩუმე.

ინესი – მამ ასე, გარსენ, შუშასავით გამჭვირვალენი გავხდით. უფრო კარგად ხედავთ?

გარსენი – არ ვიცი... მგონი, ცოტა უფრო კარგად. (*მორიდებით*) არ შეიძლება, ერთმანეთს რომ შევეშველოთ?

ინესი – მე არავის შველა არ მჭირდება.

გარსენი – ინეს, ჩვენი ძაფები ერთმანეთს გადაეება. თქვენი ერთი მოძრაობა, ხელის ერთი აქნევაც საკმარისია, რომ მე და ესტელმაც ეიგრძნოთ რხეეა. მარტო თავს ვერ დავიხსნით. ან ერთად დავიღუპებით, ან ერთად გადაერჩებით. არჩევანი თქვენზეა. (*პაუზა*) რა მოგდით?

ინესი – გაქირავოს... ფანჯრები დაღებულია. ჩემს საწოლზე ვილაც კაცი ზის. გაუქირავებიათ! შემოდით, შემოდით, ნუ გერიდებათ. ქალია... კაცთან მიდის და მხრეზე ხელებს ადებს... სი-

ნათლეს რატომ არ ანთებენ? არაფერი ჩანს. რაღას ელიან? ერთმანეთს ეხვევიან... ეს ჩემი ოთახია! გესმით, ჩემი ოთახი! რატომ არ ანთებენ? ველარაფერს ვხედავ. რას ჩურჩულებენ? ნუთუ ჩემს ლოგინზე დაინყებენ დღლარძურს? ქალმა თქვა, შუადღეა და მზე აჭერსო. რა მომდის, ხომ არ დავბრმავდი? (*გაყუჩდება*) მორჩა... ვერაფერს ვხედავ... არც არაფერი მესმის. მგონი მინასთან ბოლო ანგარიშიც გავასწორე. რაიმე ალიბი მაინც შემრჩენოდა? (*კანკალებს*) თითქოს დავცარიელდი. ახლა უკვე. მართლაც მკვდარი ვარ. აქ ვარ, მხოლოდ აქ. (*პაუზა*) რას ამბობდით? მგონი დახმარებას შემპირდით?

გარსენი – დიახ.

ინესი – რაში უნდა დამეხმაროთ?

გარსენი – იმათგან თავის დაღწევაში.

ინესი – სამაგიეროს რას მთხოვთ?

გარსენი – იყოვეს. თქვენც უნდა დამეხმაროთ. დიდი ჯდფა არ დაგადგებათ. ცოტაოდენი კეთილი ნება და საქმესაც ემკელება.

ინესი – კეთილი ნება?.. საიდან მოვიტანო? მე ხომ ზეზეურად ჩამოვლპი.

გარსენი – განა მე არა? (*პაუზა*) მაინც, რომ გვეცოდა?

ინესი – მე გავხმი. არც რაიმეს გაცემა ძალმიძს და არც რაიმეს მიღება. აბა, როგორ შეგხედოთ? გამხმარი ტოტი ვარ და სადაცაა, ცეცხლი მომედება. (*პაუზა. უყურებს ხელებში თავჩარგულ ესტელს*) ფლორანსს ქერა თმა ჰქონდა...

გარსენი – იცით თუ არა, რომ ეს ცუგრუმელა თქვენი ჯალათი იქნება?

ინესი – ვიცი.

გარსენი – აი, ამ გოგოს ნყალობით გამოგიჭერენ. მე კი ხომ ხედავთ, ყურადღებასაც არ ვაქცევ. თუკი თქვენც...

ინესი – რა, მე?

გარსენი – მახეა-მეთქი, გეუბნებით. გითვალთვალებენ. იქნებ ფეხი ნაცდეს და გაებასო.

ინესი – ვიცი, თქვენც ხაფანგი ხართ. გგონიათ, ადრეე არ იცოდნენ, რასაც იტყოდით? ყველგ.ან უჩინარი მახეა დაგებული. აქ ყოველი საგანი ხაფანგია. მაგრამ, მერე მე რა? მეც ხაფანგი ვარ. აი, მისი ხაფანგი. შეიძლება მე გამოვიჭირო იგი.

გარსენი – ვერავის გამოიჭერთ. კარუსელის ცხენებივით ერთმანეთის კუდში მიეძუნძულებთ; მათ ყველაფერი ზუსტად გათვალეს. მოეშვით, ინეს. გაშალეთ ხელები და ნურაკის დაჭერას ნუ ეცდებით. თუ არა და სამივეს უბედურების მიზეზი თქვენ იქნებით.

ინესი – ნურას უკაცრავად, მსხვერპლს ასე ადვილად ვერ დავთმობ. ვიცი, რაც მელის, მე დავიფერფლები, აი, ახლაც ვინვი და ამ ტანჯვას ბოლო არ ექნება. ყოველივე ვიცი... და თქვენ გგონიათ მსხვერპლს ასე ადვილად დავთმობ! მე მას გამოვიჭერ, გესმით? იგი ჩემი თვალებით შემოგაცქერდებათ, ფლორანსიც სწორედ ასე უყურებდა სხვას. თქვენს უბედურებასთან რა მესაქმება, როცა ყველაფერი ვიცი და საკუთარი თავის შებრალებაც არ შემიძლია. ხაფანგიო, არა?! რა თქმა უნდა, გაცები. მერე რა? თუკი ისინი კმაყოფილები არიან, მით უკეთესი.

გარსენი – (*მხრებში ჩასჭიდებს ხელებს*) მე შემიძლია შეგიბრალოთ. შემომხედეთ: ჩვენ შიშველები ვართ. ძელებსაც კი არაფერი გვიფარავს. მე თქვენს გულში ვიხედები. აი, ეს არის სწორედ კავშირი: რატომღა ფიქრობთ, რომ თქვენთვის ცუდი მსურს? მე არაფერს ვნანობ, არც ვნუნუნებ. მეც გამხმარი ხე ვარ, მაგრამ თქვენი შებრალება კი შემიძლია.

ინესი – (*მხოლოდ ახლა ჩამოიშორებს გარსენის ხელებს*) ნუ მეხებით. არ მიყვარს, როცა მეხებიან. თქვენი სიბრალულიც თქვენთვის შეინახეთ. გარსენ! ამ ოთახში თქვენც ბევრი ხიფათი გელით. ხაფანგები თქვენთვისაც დააგეს. ასე, რომ უმჯობესია საკუთარ თავს მიხედოთ. (*პაუზა*). თუკი მე და ამ ცუგრუმელას თავს დაგვანებებთ, შევეცდები, ცუდი არაფერი აგიტეხოთ.

გარსენი – (*ცოტა ხანი უყურებს, მერე მხრებს აიწურავს*) ძალიან კარგი.

ესტელი – (*თავს წამოწევს*) მიშველეთ, გარსენ.

გარსენი – რა ჭნებავთ?

ესტელი – (*დგება და უახლოვდება*) დამეხმარეთ.

გარსენი – იმას მიმართეთ.

ინესი მათ უახლოვდება და ესტელის ზურგს უკან დგება. ძალიან ახლოსაა, მაგრამ არ ეხება. მომდევნო რეპლიკის დროს, ყურში ეჩურჩულება, მაგრამ ესტელი, რომელიც უსიტყვოდ მდგარ გარსენს მისჩერებია, ისე ლაპარაკობს, თითქოსდა გარსენი უსვამდეს კითხვას.

ესტელი – გეეედრებით, გარსენ, თქვენ ხომ პირობა მომეცით; აკი შემპირდით. იჩქარე, მარტო ნუ დამტოვებ... ოლღამ დანსინგში წაათრია იგი.

ინესი – ვინ?

ესტელი – პიერი. ისინი ერთად ცეკვავდნენ.

ინესი – პიერი ვინლაა?

ესტელი – ერთი ქერქეტა ბიჭია. ჩემი სიცოცხლის წყარო ხარო, მეუბნებოდა. მე მას ვუყვარდი. ახლა კი აი, ოლღა მიათრევს დანსინგში.

ინესი – გიყვარს?

ესტელი – მაგიდასთან ჯდებიან. ოლღას აქლოშინებს. ნეტა რა აცეკვებს? შეიძლება გახდომა სურს. რა თქმა უნდა, არ მყვარებია – 18 წლისაა.

ინესი – მაშ, რაღას ბრაზობ? ან იმათთან რა გესაქმება?

ესტელი – იგი ხომ ჩემი იყო.

ინესი – დედამიწაზე შენი აღარაფერია.

ესტელი – ჩემი იყო-მეთქი.

ინესი – პო, იყო... აბა, ერთი სცადე და ხელი შეახე. ოლღას კი, როცა მოესურვება, მაშინ შეუძლია შეეხოს. ასე არ არის? ჰა, რას იტყვი? შეუძლია ხელი ჩაჰკიდოს ან მუხლებზე წაეთათუნოს.

ესტელი – ფაშფაშა ძუძუებით მკერდზე ებჯინება და შიგ სახეში ასუნთქებს. საბრალო ცეროდენა. რაღას უცდი? პო, მიდი გულიანად გადაიხარხარე და საქმეც მორჩება. კი, მაგრამ სრულ არარაობად ვიქეცი! ჩემი ერთი მზერაც საკმარისია, რომ ოლღას ნირი წაუხდეს.

ინესი – არარაობა ხარ, დედამიწაზე აღარაფერი დაგრჩა: ყველაფერი, რაც გაბადია, თან გაქვს. ფურცლების საჭრელი დანა ხომ არ გინდა? აი, ეს ლურჯი ტახტიც შენია. ჰოდა, მეც შენი ვარ, ცუგრუმელავ, სამუდამოდ შენი.

ესტელი – ჰა? ჩემი ხართ? აბა, თქვენ ორიდან რომელიმე მეტყვის, ჩემი სიცოცხლის წყარო ხარო? თქვენი მოტყუება ძნელია. თქვენ კარგად იცით, რა ჩიტიც ვარ. ჩემზე იფიქრე, პიერ, მხოლოდ ჩემზე, დამიცავი და დამიფარე, სანამ კიდევ ფიქრობ: ჩემი სიცოცხლის წყარო, ჩემი ძვირფასი სიცოცხლის წყაროო, მანამ აქ სანახევროდ თუ ვარ, სანახევროდ დამნაშავე ვარ, მე ხომ მანდ ვარ სიცოცხლის წყარო, მინაზე, შენს გვერდით. მწიფე პამიდორივით აუღაფლაფდა სახე; არა, შეუძლებელია, ერთად რამდენჯერ გვიცინია მის სისულელეზე. ეს რა მელოდიაა? ო, რარიგად მიყვარდა... პო, სენტ-ლუი ბლუზია. მაშ კარგი, იცეკვეთ; იცეკვეთ. გარსენ, ერთი დაგანახათ, როგორ დაბაგბაგჯებს ოლღა. იგი ვერასოდეს შეიტყობს, რომ მე მას ვხედავ. გხედავ, გხედავ, შენს ანწილ თმასაც ვხედავ და შენს დაფორაჯებულ სახესაც, იმასაც ვხედავ, რომ წამდაუნუმ ფეხებში ებლანდები პიერს. ღმერთო ჩემო, რა სეირია! მოუჩქარეთ! კიდევ უფრო სწრაფად. თქვენსკენ ექაჩება. პიერი ერიდება. ეს ხომ უხამსობაა. სწრაფად, სწრაფად! პიერი მეუბნებოდა, ბუმბულივით მსუბუქი ხარო. აბა ჰეი, მიდით!

(*ლაპარაკობს და თან ცეკვავს*) აკი გითხარი, გხედავ-მეთქი. ფეხებზეც ჰკიდია, თვალს არ ეაშორებ, ის კი მაინც ცეკვავს. ჩვენი ძვირფასი ესტელი! მაინც რა? რის თქმა გსურს? გაჩუმდი. დასაფლავებაზე ცრემლიც არ მოდგომია. პიერს ეუბნება: „ჩვენი ძვირფასი ესტელიო". იმასაც ბედავს, რომ ჩემზე ელაპარაკება. მუსიკას აპყევით! არა, ოლღას ცეკვაც და ლაპარაკიც ერთდროულად არ გამოდის. სულ აურიეს. ეს რაღაა?.. არა, არა! ნუ ეტყვი. შენთვის დამითმია, წაიყვანე, შენი იყოს! რაც გსურს, ის უყავი. ამას კი ნუ ეტყვი (*წყვეტს ცეკვას*). ასე იყოს. ახლა შენია, გარსენს ყველაფერს მოუყვა: როგორ ახსენა, შვეიცარიაც და ბავშვიც. ღიან, არაფერი დაუმალავს. „ჩვენი ძვირფასი ესტელი სულაც არ იყო..." პო, პო, ასეა, მე სულაც არ ვიყავი... პიერი ნაღვლიანად აქნევს თავს, მაგრამ ეტყობა, ამ ახალმა ამბავმა არც თუ ისე ააფორიაქა. შენი იყოს-მეთქი. აღარც მის გრძელ წამნამებს და არც მის ქალიშვილურ ნაკეთებს აღარ შეგდაევები. ჰმ, ჩემი სიცოცხლის წყარო, ჩემი მარგალიტი ხარო. აჰა, მარგალიტიც დაიმსხვრა. „ჩვენი ძვირფასი ესტელი". იცეკვეთ, იცეკვეთ, რაღას უდგეხართ? მუსიკას ააყოლეთ ფეხი! ერთი, ორი (*ცეკვავს*). ყველაფერს დავთმობდი, ოღონდ კი წამით მაინც დამაბრუნა იქ, მინაზე. და მაცეკვა (*ცეკვავს. პაუზა*). კარგად აღარ მესმის, სინათლე ჩააქრეს, ეტყობა, ტანგოსთვის ემზადებიან. ასე დაბალ ხმაზე რატომ უკრავენ? ხმას მოუმატეთ! ო, რა შორსაა! აღარაფერი მესმის (*ცეკვას შეწყვეტს*). აღარასოდეს აღარაფერი აღარ იქნება. მინამ დამტოვა, გარსენ, შემომხედე, მომეხვიე.

ინესი ესტელის ზურგს უკნიდან გარსენს ანიშნებს უკან დაიხიოო.

ინესი – (*მბრძანებლურად*) გარსენ!

გარსენი – (*ნაბიჯს უკან დგამს და ესტელს ინესზე ანიშნებს*) აი, მას მიმართეთ.

ესტელი – (*გარსენს ხელს ჩაჰკიდებს*) ნუ მიდიხართ! მამაცი არა ხართ?

ერთი მაინც შემომხედეთ. თვალს ნუ მარიდებთ: ნუთუ ასე გეძნელებათ? ოქროს კულულები მაქვს, პოდა, სხვა თუ არაფერი, ერთმა კაცმა ჩემი გულისთვის თავი მოიკლა. გეეედრებით, გარსენ! რამეს ხომ უნდა უყუროთ? მე თუ არა, ამ ტახტს, ამ ქანდაკს ხომ მაინც უნდა შეხედოთ? ამაზე შეუხედავი ვარ? მომისმინე: ბუდიდან გადმოვარდნილ ბარტყივით ამომიგდეს გულიდან. ამიყვანე, მკერდში ჩამისვი და ნახავ, რა სათუთი და თბილი ვარ.

გარსენი – (*ხელის კერით მოიშორებს*) ხომ გითხარით, იმას მიმართეთ-მეთქი.

ესტელი – ამას? კი მაგრამ, რაში მარგია, ეს ხომ ქალია.

ინესი – რაში მარგიაო? ჩემო ჩიტუნავ, ჩემო ტოროლავ, შენ დიდი ხანია, ჩემს გულში დაიბუდე. ნუ გეშინია, წამითაც არ მოგაცილებ თვალს, წამწამსაც არ შეგარხევ. ჩემს მზერაში ისე იქნები, როგორც მზის სხივით აელვარებული ოქროს მარცვალი.

ესტელი – მზის სხივი? ეჰ! თავი დამანებეთ. აი, მაშინაც რაღაც მოინდომეთ და ხომ ხედავთ, არ გამოვიდა.

ინესი – ესტელ! ჩემი სიცოცხლის წყარო, ჩემი მარგალიტი ხართ.

ესტელი – თქვენი მარგალიტი? სასაცილოა, ღმერთმანი, ვის ატყუებთ? ყველამ იცის, რომ ბავშვი გადავაგდე ფანჯრიდან. მარგალიტი ნამსხვრევებად იქცა... ჭაც იქით ჭქონია... სულაც არ მენაღვლება. კანილა შემრჩა, სხვა არაფერი. ჩემს კანს კი ვერ მოგცემ.

ინესი – მოდი! რაც გინდა, ის იყავი: სიცოცხლის წყარო, ჭუჭყიანი გუბე... სულერთია, ჩემი თვალები, რადაც მოისურვებ, იმად გაქცევენ.

ესტელი – დამეხსენით! თქვენ თვალები არა გაქვთ! ღმერთო, რა ლონეს მივმართო, რომ თავი დამანებოთ? აბა, ესეც შენ!

სახეში აფურთხებს. ინესი ერთბაშად უშვებს ხელს.

ინესი – (*გარსენს*) გაბღვევინებთ!

პაუზა. გარსენი მხრებს იჩეჩავს და ესტელისკენ მიდის.

გარსენი – რაო? მამაკაცი გინდა?

ესტელი – მამაკაცი არ მინდა, შენ მინდიხარ.

გარსენი – დიდი არაფერი საქმეა. ნებისმიერი მამაკაცი გაართმევს თავს. ერთი ეს არის, რომ აქ ჩემს მეტი არავინაა. ასე იყოს. (*მხრებში ხელს ჩასჭიდებს*) არც კი ვიცი, თავი რით მოგაწონო; არც პატარა სულელი ბიჭი ვარ და ტანფოს ცეკვაც არ მეხერხება.

ესტელი – სწორედ ასეთი მინდიხარ, შეიძლება შეგცვალო კიდეც.

გარსენი – მეეჭვება. ბეჯითი მოწაფე ვერ ვიქნები. თავში სულ სხვა აზრები მიტრიალებს.

ესტელი – რა აზრები?

გარსენი – ეს შენ არ გეხება.

ესტელი – ტახტზე ჩამოგიჯდები და დაგელოდები, სანამ ჩემთვისაც მოიცლი.

ინესი – (*გადაიხარხარებს*) ძუნა! დაუწექი, დაუწექი! ლამაზი მაინც იყოს!

ესტელი – (*გარსენს*) ნუ უსმენ. მას არც თვალები აქვს და არც ყურები, გინდ ყოფილა, გინდ არა.

გარსენი – რასაც შეეძლებ, ყველაფერს გაგიკეთებ. ბევრს ვერაფერს შეგპირდები. ერთია, რომ ვერ შეგიყვარებ. ძალიან კარგად გიცნობ.

ესტელი – გინდივარ?

გარსენი – ჰო.

ესტელი – ჰოდა, მეც ეგ მინდა.

გარსენი – თუ ასეა...

ესტელზე დაიხრება.

ინესი – ესტელ! გარსენ! ხომ არ შეიშალეთ? მე ხომ აქ ვარ.

გარსენი – მერე და რა?

ინესი – ჩემს თვალნინ? თქვენ... არა, თქვენ ამას არ იზამთ!

ესტელი – ვითომ რატომ? ჩემი მოახლის ნინაშეც ხშირად გავშიშვლებულვარ.

ინესი – (*გარსენს ჩაჭიდებს ხელებს*) შეეშვით! შეეშვით-მეთქი! მამაკაცის ბინძურ ხელებს ნუ მიეკარებთ!

გარსენი – (*უხეშად ჭრავს ხელს*) გაეთრიეთ, ჯენტლმენობაზე თავს არ ვდებ. ასე რომ, ქალის ცემასაც არ დაეერიდები.

ინესი – თქვენ ხომ პირობა მომეცით, გარსენ! გეეედრებით, პირობა გაიხსენეთ!

გარსენი – ხელშეკრულება თქვენ დაარღვიეთ.

ინესი ოთახის სიღრმეში იხევს.

ინესი – რაც გინდათ, ის გააკეთეთ. ძალა აღმართს ხნავს. მაგრამ ერთი გახსოვდეთ, აქ ვარ და გიყურებთ. თვალს არ მოგაცილებთ, გარსენ, იძულებული იქნებით, ჩემს თვალნინ ეაღერსოთ. ო, რარიგ მძულხართ ორთავენ! რალას უდგეხართ! საქმეს შეუდექით! ჩვენ ჯოჯოხეთში ვართ. იცოდეთ, ჩემი რიგიც მოვა!

შემდეგი სცენის განმავლობაში მდუმარედ ადევნებს მათ თვალს.

გარსენი – (*ესტელთან ბრუნდება და მხრებში ჩაუჭიდება*) ტუჩები მომეცი.

პაუზა. ქალისკენ იხრება და ერთბაშად წამოიმართება.

ესტელი – (*იმედგაცრუებული*) ჰო... (*პაუზა*). ხომ გითხარი, ყურადღებას ნუ მიაქცევ-მეთქი.

გარსენი – ეს საქმე სწორედ მას ეხება (*პაუზა*). გომეცი რედაქციაშია. ფანჯრები დახურეს. ზამთარია. ექვსი თვე გავიდა. ექვსი თვეა, რაც მე... მე ხომ გაგაფრთხილე, ზოგჯერ ყურადღება მეფანტება-მეთქი? სიციესაგან კანკალებენ. პიჯაკები აცვიათ... უც-

ნაურია. ასე რამ შეაცივნაო? იქ, ისეთი სიცივეა, აქ კი სიცხისაგან ვიხუთები. ახლა ჩემზე ლაპარაკობენ.

ესტელი – კიდევ დიდხანს არ მორჩებიან. (*პაუზა*) ის მაინც მითხარი, რას ამბობენ?

გარსენი – ისეთს არაფერს. არაფერს არ ყვებიან. ნაძირალაა, ეს არის და ეს (*ყურს დაცქვეტს. მიაყურებს*) კარგი ნაძირალაა. ჰა, როგორია? (*ესტელთან მიდის*) ჩვენ საქმეს მივხედოთ! გეყვარები?

ესტელი – (*იღიმება*) აბა, რა ვიცი?

გარსენი – მენდობი?

ესტელი – ღმერთმანი, უცნაური კითხვაა: ჩემს გვერდით არ უნდა იყო? თანაც, ინესთან ხომ არ მიღალატებ?

გარსენი – ასეა. (*პაუზა. ხელს უშვებს ესტელს*) მე სხვა ნდობაზე გელაპარაკები. (*ყურს მიუდგებს*) პო, მიდი! რაც გინდა, ის თქვი: მანდ აღარა ვარ და თავსაც ველარ დავიცავ. (*ესტელს*) ესტელ, შენ უნდა მენდო.

ესტელი – რა აიჩემე! აგერ, ჩემი ტუჩები, ჩემი მკლავები, მთელი ჩემი სხეული. ყოველივე ისე მარტივია... მაგრამ აი, ნდობაზე არ ვიცი, რა გითხრა?! ნდობის ნატამალიც აღარ შემრჩა. ფბაკვალი სულ ამიბნიე. ეტყობა, მართლა რაღაც სისაძაგლე ჩაიდინე. ასე გამწარებით რომ ეძებ ჩემს ნდობას.

გარსენი – მე დამხვრიტეს.

ესტელი – ეს ხომ უკვე ვიცი: შენ ომში არ ნახეედი. შემდეგ?

გარსენი – არა, გადაჭრით კი არ მითქვამს უარი. (*უხილავ მოსაუბრეებს*) ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ლაპარაკობს, კარგადაც ილანძღება, მაგრამ საქმეზე კრინტსაც არ ძრავს. აბა, გენერალს ხომ ვერ ვეტყოდი: „ბატონო გენერალო, ფრონტზე ვერ წავალ-მეთქი?“ რა სისულელეა! ნამსვე საკანში მიკრავდნენ თავს! მსურდა, მათთვის ყველაფერი ამეხსნა, მსურდა, მოესმინათ, მათ კი ყურიც არ მათხოვეს. (*ესტელს*) მერე მატარებელში ჩავჯექი. საზღვარზე გამომიჭირეს.

ესტელი – სად მიდიოდი?

გარსენი – მექსიკაში – პაციფისტური გაზეთის გამოშვებას ვაპირებდი. (*პაუზა*) აბა, მითხარი რამე.

ესტელი – რა გითხრა? სწორედ მოქცეულხარ. არ გინდოდა, რომ გებრძოლა. (*გარსენი ბრაზით აიწევს ხელს*) ძვირფასო, არც კი ვიცი, რა გიპასუხო.

ინესი – ჩემო საუნჯევ, უთხარი, რომ ლომივით მოკურცხლა. პო, მოკურცხლა, ქუდმოგლეჯილი გაიქცა ეს შენი ძვირფასი მამაკაცი. აი, ეს არის, რომ მოსვენებას არ აძლევს.

გარსენი – გავიქეცი თუ გავემგზავრე, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

ესტელი – სწორადაც მოიქეცი, რომ დარჩენილიყავი, დაგიჭერდნენ.

გარსენი – რა თქმა უნდა. (*პაუზა*) ესტელ, ლაჩარი ვარ?

ესტელი – ძვირფასო, აბა მე რა ვიცი. შენს ტყავში რომ ვიყო, კიდევ ჰო... პასუხი შენ უნდა მოძებნო.

გარსენი – (*ხელს ჩაიწვავს*) პასუხს რაღა ჯრი აქვს.

ესტელი – გაიხსენე: რადგან ასე მოიქეცი, ეტყობა, საამისო მიზეზიც გქონდა.

გარსენი – ჰო.

ესტელი – სხვა რაღა გინდა?

გარსენი – მიზეზსაც გააჩნია.

ესტელი – (*თავმოძვრეული*) ძალიან რთული ვინმე ხარ.

გარსენი – მინდოდა, მათთვის ყოველივე ამეხსნა... დიდხანს ვიფიქრე... აი მიზეზისა კი რა მოგახსენო. არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა.

ინესი – საკითხავიც ეს არის. საპატიო მიზეზი გქონდა? ბევრი იფიქრე, არ გინდოდა ნაუცბათევად გადაწყვეტა. მაგრამ შიშიც, სიმდაბლეც და ყველაფერი ის სიბინძურე, რასაც თავს ვუმალავთ, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს მიზეზად გამოგვადგეს. ჰოდა, ახლა ეძიე. საკუთარ თავს დაეკითხე!

გარსენი – გაჩუმდი! ხომ არ გგონია, შენს შეგონებას ავყვები? დღე და ღამე საკანში ბოლთას ვცემდი. კარიდან სარკმელამდე, მერე ისევ უკან... საკუთარ თავს ვუთვალთვალებდი, ნაბიჯ-ნაბიჯ მივდევდი. ასე მგონია, მთელი ცხოვრება თავს ვეკამათებოდი. მერე და რა გამოვიდა? მთავარი მოქმედებაა. სწორედ მას უნდა მოვუძებნო გამართლება. ფაქტი ფაქტად რჩება – მატარებელში ჩავჯექი. მაგრამ, რატომ? რატომ? მერე ესეც ვიფიქრე, ნამდვილი პასუხი ჩემი სიკეთილი იქნება-მეთქი. პატიოსანი სიკეთილი რომ მღირსებოდა, ლაჩრობას რომელი ერთი დამწამებდა?!

ინესი – როგორ მოკვდი, გარსენ?

გარსენი – უშნოდ. (*ინესი იცინის*) სხეულმა მიმტყუნა. ამის არც მრცხვენია. მთავარი ის არის, რომ კითხვა პაერში გამოეკიდა. (*ესტელს*) მოდი აქ. შემომხედე, სანამ ისინი იქ, ქვემოთ ჩემზე ბჭობენ, მინდა, რომ აქ ვიღაცამ მიყუროს. მწვანე თვალები მიყვარს.

ინესი – მწვანე თვალები? ერთი ამას დამიხედეთ! შენ, ესტელ? შენ თუ გიყვარს ლაჩრები?

ესტელი – ჩემთვის სულ ერთია. კარგად ალერსი იცოდეს და ვინც გინდა ის იყოს.

გარსენი – სიგარებს ქაჩავენ და თავებს აკანტურებენ, მონყენილნი ჩანან; გარსენი ლაჩარიაო – ფიქრობენ. ისე, უნდილად და ზანტად ფიქრობენ. რალაცაზე ხომ უნდა იფიქრონ? გარსენი ლაჩარია! აი, რა გადანყვიტეს ჩემმა მამაკაცებმა. ექვსი თვეც გავა და ვილაცაზე იტყვიან: გარსენივით ლაჩარიაო. თქვენ რა გენაღელებათ, იქ, ქვემოთ თქვენზე ალარავინ ფიქრობს. მე უფრო მძიმე ბედი მერგო.

ინესი – თქვენი ცოლი რასა იქმს, გარსენ?

გარსენი – ჩემს ცოლთან რაღა გესაქმებათ? იგი მოკვდა.

ინესი – მოკვდა?

გარსენი – დამავინყდა, თქვენთვის მეთქვა, ახლახან გარდაიცვალა. ორი თვეც არ იქნება.

ინესი – სვედამ დარია ხელი?

გარსენი – რა თქმა უნდა. აბა, სხვა რა მოკლავდა? ამრიგად ყველაფერი რიგზეა. ომი დასრულდა, ჩემი ცოლი მოკვდა, მე კი ისტორიის კუთვნილებად ვიქეცი.

ქვითინი ალმოხდება და სახეზე ხელს ისვამს. ესტელი ჩაებღაუჭება.

ესტელი – ძვირფასო! შემომხედე: ხელი მომეცი (*მის ხელს იღებს და ყელთან მიიტანს*). ყელზე დამადე. (*გარსენი ხელის განთავისუფლებას ცდილობს*) არ ნაიღო; იყოს აქ, შენც ნუ გაინძრევი. ისინიც ხომ მოკვდებიან: ჰოდა, მათი აზრიც რაში გენაღვლება? ყველა დაივინყე. მხოლოდ მე ვარსებობ შენთვის.

გარსენი – (*ხელს წაართმევს*) ისინი არ დამივინყებენ. სიკვდილით კი მოკვდებიან, მაგრამ თავიანთ აზრს სხვას უანდერძებენ. რას იზამ, ამიერიდან მათ ხელში ვართ.

ესტელი – ძალიან ბევრს ფიქრობ, ჩემო კარგო.

გარსენი – სხვა რაღა დამრჩენია? მოქმედება შემეძლო... ერთი დღე მაინც დამაბრუნა მათთან... აზრს შევაცვლევინებდი. ახლა თამაშიდან გამომთიშეს: კამათობენ, მე კი არაფერს მეკითხებიან. ასეც უნდა იყოს: მე ხომ მკვდარი ვარ. წრუნუნასავით გავები (*იცინის*). ახლა ჩემზე საზოგადოებრივი აზრი შეიქმნა.

პაუზა.

ესტელი – (*ნაზად*) გარსენ!

გარსენი – აქა ხარ? მისმინე, უნდა დამეხმარო! არა, უარს ნუ მეტყვი. ვიცი, უცნაურად გეჩვენება, შველას რომ გთხოვ. იმიტომ, რომ სხვის შველას ჩვეული არა ხარ. მაგრამ რომ მოისურვო, თავს ძალა რომ დაატანო, იქნებ მართლაც შეეიყვაროთ ერთმანეთი? ყური მიგდე: ათასობით კაცი იმეორებს, გარსენი ლაჩარიაო. მაგრამ ათასი რას მიქვია? თუკი ერთმა სულიერმა მაინც თქვა, რომ არ გავქცეულვარ, რომ არც შემეძლო ასე გავქცეულიყავი, რომ არც გამბედაობა მაკლია და არც ვაუკაცობა, რომ ამ საქმეში სუფთა ვარ, მჯერა, გადავრჩები. ჩემს სიმართლეს თუ ირწმუნებ, საკუთარ თავზე მეტად მეყვარები.

ესტელი – (*იცინის*) სულელო, ჩემო პატარა სულელო! რამ გაფიქრებინა, რომ ლაჩარს შეეიყვარებ?

გარსენი – აკი ამბობდი...

ესტელი – დაგცინოდი. მე ნაღდი მამაკაცები მიყვარს, ხეშეში კანი და ღონიერი მკლავები რომ აქვთ, ისეთები. შენ ლაჩარი კაცისა არც ნიკაპი გაქვს, არც პირი, არც ხმა და არც თმები. აი, სწორედ შენი პირი, შენი ხმა და თმები მიყვარს.

გარსენი – თუ ასეა, იმათ აზრს არ დაგიდევ. ესტელ, ჩვენ თავს დავაღწევთ ჯოჯოხეთს. (*ინესი ხარხარებს. გარსენი ჩუმდება და ინესს უყურებს*) რა მოგიეიდათ?

ინესი – (*იცინის*) ესტელს თავადაც არ სწამს თავისი ნათქვამისა. ასეთი გულუბრყვილო როგორ ხარ? „ესტელ, ლაჩარი ხომ არა ვარ?" რომ იცოდე, ეს სულაც არ ენაღვლება.

ესტელი – ინეს! (*გარსენს*) ნუ უსმენ. თუ გინდა ჩემი ნდობა დაიმსახურო, ჯერ შენ უნდა მენდო.

ინესი – რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ერწმუნე, გარსენ, დამიჯერე. მას მამაკაცი სჭირდება, რათა მისი მკლავი წელზე შემოიხვიოს, მისი სუნი ისუნთქოს და მის თვალებში ვნება ამოიკითხოს. სხვა არაფერი. რომ გასიამოვნოს, იმასაც გეტყვის მამაზეციერი ხარო.

გარსენი – (*ესტელს*) მართალს ამბობს?

ესტელი – აბა, რა გითხრა? ამ ამბებისა არაფერი გამეგება. (*ფეხს აბაკუნებს*) თავი მომაბეზრეთ და ეგაა. ლაჩარიც რომ იყო, მაინც მეყვარები. მეტი რაღა გინდა?

პაუზა.

გარსენი – (*ორივე ქალს მიმართავს*) გულს მირევთ!

კარისკენ მიდის.

ესტელი – რას აპირებ?

გარსენი – მივდივარ.

ინესი – (*სწრაფად*) შორს ვერ წახვალ, კარი დაკეტილია.

გარსენი – ბოლოს და ბოლოს ხომ გაიღება.

ზარის ღილაკს თითს აჭერს. ზარი არ მუშაობს.

ესტელი – გარსენ.

ინესი – (*ესტელს*) ნუ ღელავ – ზარი მოშლილია.

გარსენი – გეუბნებით, კარს გამიღებენ-მეთქი. (*კარს მუშტებს დაარტყამს*) აღარ შემიძლია თქვენი ატანა, მეტი აღარ შემიძლია, გესმით? (*ესტელი მასთან მიირბენს, გარსენი ხელს ჭრაავს*) თავიდან მომწყდი! შენ იმაზე მეტად მძულხარ, არ მინდა შენს თვალებში ჩავიძირო, გამბასაეით ხარ! ლორნოვანი ხარ! ჭაობი ხარ, გესმის? (*კარებს ხელს ურტყამს*) გამიღებთ თუ არა?

ესტელი – გარსენ, გევედრები, ნუ ნახეალ! ხმასაც არ გაგცემ, თავს დაგანებებ, ოღონდ კი ნუ ნახვალ. ინესმა ბრჭყალები გამოაჩინა. მასთან მარტო ნუ დამტოვებ.

გარსენი – კისერიც გიტეხია. მე ხომ არ მომიყვანიხარ აქ?

ესტელი – ლაჩარო, ლაჩარო! დიახაც რომ ლაჩარი ყოფილხარ.

ინესი – (*უახლოვდება ესტელს*) რაო, ტოროლავ, გაგაბრაზეს? გახსოვს, იმისთვის რომ თავი მოგენონებინა, სახეში შემაფურთხე და ერთმანეთს გადაგვკიდე. ახლა კი იგი მიდის; ქალებილა ვრწებით და ზეიმსაც ვეღარავინ ჩაგვიმწარებს.

ესტელი – ვერას გამომრჩები, კარი თუ გაალეს, მეც გავიქცევი.

ინესი – სად?

ესტელი – ეს სულ ერთია, მთავარია, შენ გაგეცალო.

გარსენი კარს არ ეშვება.

გარსენი – გაალეთ! გაალეთ-მეთქი! ყველაფერზე თანახმა ვარ: რკინის ჩექმა იყოს, ან ხუნდები, გინდაც გავარვარებული ტყვია, ან ბორცის სანინწნი მაშა. დამნვით, ნაკუნ-ნაკუნ დამგლეიჯეთ, ოღონდ კი ნაღდად მაწამეთ. ათასი მნერის კბენა, შოლტი და კუპრის ქვაბი მირჩევნია თავის ამ აუტანელ ტკივილს. ტკივილს კი არადა წამების აჩრდილს, რომელიც აგერაა, სულ ახლოს, მეხება კიდეც, მაგრამ ნამდვილ ტანჯვას ვერა და ვერ ვგრძნობ. (*კარის სახელურს შეანჯღრევს*) გააღებთ თუ არა?

კარი ისე მოულოდნელად იღება, რომ გარსენი ძლივს იკავებს თავს. გრძელი პაუზა.

ინესი – რაღას ელოდებით, გარსენ? გზა ხსნილია.

გარსენი – (*ნუბა*) რამ გააღო კარი?

ინესი – ჰო, რაღას უდგეხართ? მოუსვით!

გარსენი – ფეხსაც არ მოვიცვლი.

ინესი – შენ რაღას იზამ, ესტელ?

ესტელი უძრავადაა. ინესი გადაიხარხარებს.

გარსენი – აბა, რომელი გაბედავს? ჩვენ სამში რომელი ნავა? აი, გზა, რაღა გაკავებს? სეირი თუ გინდა, ეს არის! განუყოფელნი ვართ.

ესტელი ზურგიდან მიეარდება ინესს.

ესტელი – განუყოფელნი? გარსენ! მომეშველეთ. სწრაფად, სწრაფად. გარეთ გავაგდოთ და კარი მოვუკეტოთ. აი, მაშინ იქნება სეირი.

ინესი – (*გაიბრძოლებს. ესტელს*) გევედრები, ნუ გამაგდებ. დერეფანში ნუ გამაგდებ!

გარსენი – თავი დაანებე.

ესტელი – გაგიჟდი? მას ხომ ეზიზღები.

გარსენი – მე მისი გულისთვის დავრჩი.

ესტელი ინესს შეეშვება და გაოცებული მიაჩერდება გარსენს.

ინესი – ჩემი გულისთვის? (*პაუზა*) თუ ასეა, კარი დახურეთ. ღია კარებში კიდევ უფრო ჩამოცხა. (*გარსენი კართან მიდის და ხურავს*) ჩემი გულისთვისო, თქვით?

გარსენი – დიახ, შენ კარგად იცი სილაჩრის ფასი.

ინესი – ვიცი.

გარსენი – შენ ისიც იცი, თუ რა არის ბოროტება, სირცხვილი, შიში. ხშირად საკუთარ გულში ჩაგიხედავს, და ხელ-ფეხი მოგკვეთია. მეორე დღეს კი აღარ იცოდი, რა გეფიქრა, ან როგორ აგეხსნა ნინა დღის უეცარი ხილვა. ჰო, შენ კარგად იცი ბოროტების ნამდვილი ფასი. იმიტომ, რომ ამ საქმეში ჩახედული ხარ, ასე არ არის?

ინესი – ასეა.

გარსენი – შენ უნდა დაგარწმუნო: შენ ჩემი ჯიშისა ხარ, როგორ იფიქრე, რომ გაგეცლებოდი? მაშინ გამარჯვებული შენ დარჩებოდი, შენი აზრების ანაბარად. ეს აზრები კი მე მეხება, ვერ დაგტოვებ.

ინესი – მერედა, შესძლებ, რამეში დამარწმუნო?

გარსენი – სხეა გზა არა მაქვს. იცი, მათი ხმები აღარ მესმის. ეტყობა, ჩემზე ლაპარაკს მორჩნენ. ყველაფერი დასრულდა: ჩემი საქმე გარკვეულია. ახლა იქ, მინაზე, აღარაფერი ვარ, ლაჩარიც კი არა ვარ. ინეს, ჩვენ მარტონი ვართ: მხოლოდ თქვენ ორნილა თუ ფიქრობთ ჩემზე. ამას არ ვთელი. მაგრამ, მერნმუნე, შენს იქით გზა აღარ მაქვს. შენ უნდა მიხსნა.

ინესი – ეს არც თუ ისე ადვილია. ხომ ხედავ, რა ჯიუტიც ვარ.

გარსენი – არაფერია, დრო ბევრი მაქვს.

ინესი – ჰო, დრო თავზესაყრელი გაქვს.

გარსენი – (*მხარში ჩაუჯდება*) მისმინე, ყველას თავისი მიზანი აქვს, ასე არ არის? მე ფულიც და სიყვარულიც ფეხზე მი-

დია. მსურდა, მამაკაცი ეყოფილიყავი, ნაღდი კაცი, გესმის? ყველაფერი ამას მოვახმარე. განა შეიძლება, ლაჩარი უწოდო კაცს, რომელიც მუდამ უფსკრულის პირას დადის? განა შეიძლება, მხოლოდ ერთი მოქმედებით ახსნა კაცის მთელი სიცოცხლე?

ინესი – რატომაც არა, ოცდაათი წელი თავს ირნმუნებდი, ნაღდი კაცი ვარო. ჰოდა, ათას სისუსტეს პატიებდი თავს. მამ როგორ, გმირს არაფერი ეკრძალება. კარგია, ღმერთმანი! ერთხელაც, გასაჭირის ჟამს, ჩიხში აღმოჩნდი და... მუქსიკისკენ მოკურცხლე.

გარსენი – გმირობა ჩემთვის მხოლოდ ოცნება არ ყოფილა. მე იგი ავირჩიე. ადამიანი ისაა, რაც სურს, რომ იყოს.

ინესი – დამიმტკიცე, დამიმტკიცე, რომ ეს მხოლოდ ოცნება არ იყო. მთავარი ჩვენი სურვილები კი არაა, არამედ ჩვენი ქმედებანი.

გარსენი – სიკვდილმა ადრე მინია. მოქმედების დროც არ დამიტოვეს.

ინესი – ყველანი ძალიან ადრე, ან ძალიან გვიან ვკვდებით და მაინც ჩვენი სიცოცხლე აქ არის ჩვენს თვალნინ, უკვე დასრულებული. მოსაბდენი მოხდა, საბოლოო სიტყვა ჩვენზეა. შენ არაფერი ხარ, თუ არა შენი სიცოცხლე.

გარსენი – ასპიტო! ყველაფერზე გაქვს პასუხი.

ინესი – აბა, აბა, გამაგრდი! შენთვის არც თუ ისე ძნელი უნდა იყოს ჩემი დარნმუნება. საბუთები მოიხმე, ჰო, მიდი, სცადე, (*გარსენი მხრებს იჩეჩავს*) ხომ გითხარი, სუსტი ხარ-მეთქი. ახლა კი მნარედ გაზლვევინებ. შენ მხდალი ხარ, გარსენ, იმიტომ, რომ მე ასე მსურს, გესმის? შემომხედე, რა უსუსური ვარ,სუნთქვასაეით სათუთი. მხოლოდ ის მზერა ვარ, შენ რომ გხედავს, მხოლოდ ის უფერული აზრი -შენ რომ გიაზრებს. (*გარსენი მისკენ მიდის, ხელებს ფართოდ შლის*) აჰა, მამაკაცის მძლავრი მკლავები ფართოდ იშლება. რისი იმედი გაქვს? აზრს ხომ შიშველი ხელებით ვერ დაიჭერ? ასე, რომ არჩევანი არა გაქვს: გინდა თუ არა, უნდა დამარნმუნო. გამოჭერილი მყავხარ.

ესტელი – გარსენ.

გარსენი – რა გინდა?

ესტელი – შური იძიე.

გარსენი – როგორ?

ესტელი – მომეხვიე და ნახავ, რომ სულ სხვა ხმაზე ამღერდება.

გარსენი – სნორი ხარ, ინეს. გამომიჭირე, მაგრამ შენც გამოჭერილი მყავხარ.

ესტელზე დაიხრება. ინესი წამოიყვირებს.

ინესი – ლაჩარო! ლაჩარო! ქალებს გადააყოლე გული, სხვა რა შეგიძლია!

ესტელი – იმღერე, ინეს, იმღერე!

ინესი – რა ლამაზი ნყვილია! ერთი შეგახედა, როგორ გიჭმუჭნის თათებით კაბას. სველი ხელები აქვს, იმიტომ რომ ოფლად იღვრება. შენს კაბას მუქი ლაქა დააჩნდება.

ესტელი – იმღერე, იმღერე! უფრო მძლავრად მომეხვიე, გარსენ, დე, ბოლმით გასკდეს.

ინესი – ჰო, გარსენ, მოეხვიე, შეაერთეთ თქვენი სხეულების სიმხურვალე. კარგი რამაა სიყვარული, არა, გარსენ? ძილივით ტკბილია და ღრმა, მაგრამ მე არ დაგაძინებ.

გარსენი ხელს აიწევს.

ესტელი – ნუ უსმენ. აი, ჩემი ტუჩები. შენი ვარ, შენი.

ინესი – რაღას უცდი? დაემორჩილე. ლაჩარი გარსენი შეილის მკვლელ ესტელს ეხვევა. აბა, ფული ჩამოდით! აკოცებს თუ არა ლაჩარი გარსენი ქალს? მე ვხედავთ, ვხედავთ. მე ბრბო ვარ, გარსენ, გესმის, თქვენს გარშემო თავმოყრილი ბრბო. (*ჩურჩულებს*) ლაჩარო! ლაჩარო! ამაოდ გამირბიხარ. ასე ადვილად არ დაგამობ. მის აღერსში რას ეძებ? თავდაეიწყებას? მაგრამ მე არ დაგვიწყებ. მე უნდა დამარნმუნო, მე! მოდი, ჩემთან მოდი! გელოდები. ხედავ, ესტელ, უნინდებურად აღარ გეხვევა, ძაღლივით მორჩილია... შენ მას ვერასოდეს მოიხელთებ!

გარსენი – ნუთუ აღარასოდეს დაღამდება?

ინესი – აღარასოდეს.

გარსენი – შუაღამემდე უნდა მიყურო?

ინესი – მუდამ.

გარსენი ესტელს მოშორდება და ოთახში გაიელვა. გამოიელის. მერე ბრინჯაოს ნათურასთან მიდა.

გარსენი – ბრინჯაოს ნათურა... (*ხელს უსვამს*) აი, ეს ნამიც დადგა. ნათურაც აქაა... ვუყურებ და ვხედები, რომ ჯოჯოხეთში ვარ. გეუბნებით, ყველაფერი წინასწარ გათვლილია-მეთქი. ისიც კი იცოდნენ, რომ ამ ბუხრის წინ დავდგებოდი და ამ ნათურას ხელს დავადებდი, თქვენს მზერას ნამითაც ვერ ჩამოვიცილებდი. ეს მზერა ვულს მიღრღნის. (ერთბაშად შემობრუნდება) ორნი ხართ? უფრო მეტი მეგონეთ (იცინის). მაშ ეს არის ჯოჯოხეთი? ვერასოდეს ეიფიქრებდი... ხომ გახსოვთ კუპრის ქვაბები, კოცონი, ორთითები. სასაცილოა. აბა, რა საჭიროა ორთითები: ჯოჯოხეთი ეს სხვებია.

ესტელი – ჩემო სიყვარულო!

გარსენი – (*ხელს ჭრაავს*) თავი დამანებე! ჩვენს შორის ეს ქალი დგას. სანამ გვიყურებს, ვერაფერს შევძლებ.

ესტელი – თუ ასეა, ვეღარასოდეს გვიხილავს.

მაგიდიდან ფეურცლების საფრელ დანას იღებს, ინესს მიუარდება და რამდენჯერმე ჩასცემს.

ინესი – (*სიცილით თავს იცავს*) რას ჩადი, ბაგიუდი? ხომ იცი, რომ მკვდარი ვარ.

ესტელი – მკვდარი?

დანას ხელიდან გააგდებს. პაუზა. ინესი დანას დასწვდება და გამეტებით ჩაირტყამს მკერდში.

ინესი – მკვდარი! მკვდარი! აღარც დანა უშველის საქმეს, აღარც საწამლავი და აღარც თოკი. ეს უკვე აღსრულდა, გესმის, და ჩვენც უკუნითი უკუნისამდე ერთად ვიქნებით!

იცინის.

ესტელი – (*ისიც იცინის*) უკუნითი უკუნისამდე? უცნაურია, ღმერთმანი, უკუნითი უკუნისამდე?

გარსენი – (*ქალებს უყურებს და იცინის*) უკუნითი უკუნისამდე!

ტახტზე ეცემიან. გრძელი პაუზა. სიცილს შეწყვეტენ და ერთმანეთს უყურებენ. გარსენი წამოდგება.

გარსენი – მაშ ასე, განვაგრძოთ!

ფარდა.